საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 6 დეკემბერი, 1918 წ.

# ერთობა

ფასი 2 მანეთი

გაზეთი ღირს 1 თვით 50 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 4 მანეთი. მეოთხე გვერდზე—3 მან. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 80 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება.
რედაქცია და კანტორის ადრესი: რუსთაველის პრ. № 24.
ტელეფონი 16—62.

№ 279 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 279

ანნა სულხანიშვილისა შვილებით: ცირა, ნორა, ნინა, ფირნაოზ თავზარდაცემულნი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველი ძვირფასი მეუღლის, ხოლო მეორენი საყვარელი მამის

**ნიკოლოზ სულხანიშვილის**

უდროოდ გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე ქაშვეთის ეკლესიაში დილის 11 ნახ. ს. და საღ. 6 საათზე. (ნ. 3—2)

---

ქართული სამუსიკო საზოგადოების გამგეობა გულითადი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას გამგეობის წევრის კომპოზიტორ

**ნიკოლოზ სულხანიშვილის**

უდროოდ გარდაცვალებას. პანაშვიდი ქაშვეთის ეკლესიაში ყოველ დღე საღამოს 6 საათზე. დაკრძალვა მოხდება კვირას 7 დეკემბერს. (ნ. 3—2)

---

ქართულ სამუსიკო საზოგადოების სამუსიკო კოლეგია ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას აუნაზღაურებელ წევრის და თანამშრომლის კომპოზიტორ

**ნიკოლოზ სულხანიშვილის**

უდროოდ გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათ. ქაშვეთის ეკლესიაში. (ნ. 3—2)

---

ღრმათ დამწუხრებული იოსებ ანტონის ძე ბერძენიშვილი შვილებით: თამარა, დიტო და ტუხუთი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ უდროოთ გარდაცვალებას, პირველის ძვირფასი მეუღლის და მეორენის საყვარელი დედის

**მარუსია ლუკას ასულის ბერძენიშვილისას**

დასაფლავება ქალაქ ქუთაისში დღით შაბათს, 6 დეკემბერს, საფიჩხიის სასაფლაოზე (3191—2—2)

---

ღრმად დამწუხრებული მამა ბართლომე ვასილის ძე ვაშაკიძე შვილებით: ნინა, შალვა და ვენერა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 7 დეკემბერს დანიშნულია წლის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარი შვილის

**ნიკოს (ნიკაშას)**

სულის მოსახსენებლად პეტრე პავლეს სასაფლაოზე. (3200—1—1)

---

ღრმად დამწუხრებულნი: შვილი ვასილი სიმონის ძე და ნადეჟდა ალექსანდრეს ასული გიგიჭკორები შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათი უძვირფასესი დედის

**ალათის**

გარდაცვალებას. გამოსვენება საკუთარ ბინიდან მცხეთის საქათალიკოზო სობოროში კვირას, 7 დეკემბერს, 10 საათიდან. დაკრძალვა მცხეთის სასაფლაოზე პანაშვიდი ყოველ დღე 4 ს. 3207—1—1)

---

ანტონ ლაზარეს ძე ბერძენიშვილი მეუღლით და შვილებით ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მახლობლებთ უდროოდ გარდაცვალებას დაუვიწყარი რძლის

**მარუსია ლუკას ასული ბერძენიშვილისას**

დასაფლავება მოხდება ქ. ქუთაისში დღით, შაბათს, 6 დეკემბერს, საფიჩხიის სასაფლაოზე. (3204—1—1)

---

გიორგი ანტონის ძე ბერძენიშვილი მეუღლით პელაგია მიხეილის ასულით ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ ძვირფასი რძლის

**მარუსია ლუკას ასული ბერძენიშვილის**

უდროოდ გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდება ქუთაისში დღით შაბათს, 6 დეკემბერს საფიჩხიის სასაფლაოზე. (3204—1—1)

---

ვალოდია და ნამეტია გოგუაძენი გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი რძლის

**მარუსია ლუკას ასული ბერძენიშვილის**

უდროოდ გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდება ქალ. ქუთაისში დღით შაბათს, 6 დეკემბერს საფიჩხიის სასაფლაოზე. (3204—1—1)

---

## ფ. მომხმარებელ საზ. „ალორძინების" გამგეობა

თ აცნობებს საზოგადოების რწმუნებულებს, რომ კვირას, 7 დეკემბერს, დი-
ს 10 საათზე პროფესიონალურ კავშირების ბინაზე (ბარიათინის და რუსთაველის პრ. კუთხე, № 9, არამიანცის სახლი)

დანიშნულია **საზოგადოების რწმუნებულთა**

## საერთო კრება

არჩევი კითხვები: 1) რწმუნებულთა არჩევნების დამტკიცება, 2) გამგეობის
სენება საზ. მოქმედების შესახებ 1918 წ. და ამავე წლის ანგარიში, 4) წეს-
ის ზოგიერთი მუხლების გადასინჯვა, 5) ახალი გამგეობის კონსტრუქცია, 6) გამგეობის არჩევა და 7) მიმდინარე კითხვები.

რჩეულ რწმუნებულთა სიები გამოკრულია საზოგადოების ყველა მაღაზიებში.
(ნ. 3—2)

გამგეობა.

---

## არტისტიული საზოგადოების დარბაზი

რას, 7 დეკემბერს, სახელმწიფო უნივერსიტეტის ბუნებისმეტყველ და აგრონომ სტუდენტთა კავშირის გასაძლიერებლათ გაიმართება

## დიდი საღამო

საკონცერტო განყოფილებაში მონაწილეობას მიიღებენ: ქ ნნი და ბ ნნი ან
ორლოვა, ზალიპსკი, სარაჯიშვილი,
შვილი, ბაჟუნზაკხა, ვაკარეცი, როსტენი და სხვ.

2. კაბარეში მონაწილეობას მიიღებენ: ვ.
აბაშიძე, ნ. გოცირიძე, ი. გრიშაშვილი,
დიმოვი, ნიროვი-პერსიანი, ზანგი, გარი, იმიტატორი გარანსკი და სხვ.

ვახშამი,—ბუფეტი,—დასასრულ ცეკვა.

ბილეთების მიღება შეიძლება არტისტ. საზ. დარბაზში, კაფე ინტერნაციონალში.
(ბუფ. 1—1) საღამოს დიასახლისნი: ამირაჯიბისა და ერისთავისა.

---

სახალხო ხიმღერა გალობის კურსები **მიხეილ კავსაძისა**

ვორონცოვთან, მაისურაძის სამკითხველოსთან, („ბო მონდი"), სამშაბათობით და პარასკ. საღ. 5—8 საათამდე (3177—3—3)

---

# მობრძანდეს და წაიღოს!

ამ ბოლო დროს საზოგადოებას ნერვიონობა ეტყობა ჭორი, პროვოკაცია, გულწრფელი შიში, სწორი ნიშნები და ყალბი ცნობები, ყველაფერი ერთი მეორეში აირია. გრძნობათა და ვნებათა ამგვარ აფორიაქებას სათავე დაედო ყუბანის ამბების შემდეგ. ამდენ ხანს ნახევრათ ავტონომიური ყუბანი ერთგვარი ბუფერი იყო ჩვენსა და რუსეთის აგრესიულ ნაციონალისტურ რეაქციის შორის. დღეს კი ეს რეაქცია გვერდზე ამოგვეტუზა და მისი შავი სუნთქვა თითქოს პირდაპირ ვიგრძენით. საზოგადოებაში სხვადასხვა ხმები დადის. ამბობენ, რომ დენიკინმა უკვე ბაქოზე გამოილაშქრა; დობრარმია უღელტეხილების გადაღმა სამხედრო სიმაგრეებს აგებსო; გაზეთი „თავისუფალი მთიელი" იძლევა ცნობას, რომ ამ ბოლო დროს სოჩის ფრონტზე დენიკინელთა ჯარებში დიდი გამოცოცხლება და გადაჯგუფებ გადმოჯგუფება სწარმოებს. რამდენიმე დღის წინათ ნოვოროსიისკიდან ადლერში ორი გემი ჯარი და იარაღი მოვიდა, ახალი ნაწილები მიემატა ამ ფრონტს აგრეთვე არმავირიდანო.

ბაქოს რუსთა ნაციონალურმა საბჭომ საინტერესო მოხსენებით მიმართა გენერალ დენიკინსა და დაღესტნის ჯარების სარდალს ერდელს. მოხსენებაში რუსული საბჭო სწერს, რომ ამ ბოლო დროს ბაქოში ძლიერ გავრცელებულია ხმები, თითქოს ახლო მომავალში დობრარმია ბაქოზედ მოდიოდესო, და სთხოვენ ზემოხსენებულ გენერლებს, გააქარწყლონ და უარყონ ასეთი ყალბი ხმები, ვინაიდან ქალაქში ისეთი სულიერი განწყობილება სდგება, რომ შესაძლებელია მას არა სასურველი და საუბედურო შედეგები მოჰყვესო.

რუსთა ნაციონალური საბჭოს ასეთი შიში ადვილი გასაგებია, თუ მკითხველი გაიგებს, რომ თურმე აზერბეიჯანის მთავრობის „კონტრ რაზვედკამ" ბლომათ ჩაიგდო ხელთ შესაფერი მასალები. დენიკინის ღენერლები და ოფიცრები, რომელთა ოჯახები ბლომათ არიან ბაქოში და ჩვენშიაც, ხშირათ სწერენ თავისიანებს—მალე ჩამოვალთ „შინ" და განთავისუფლებთო. მათ ძლიერ ეჩქარებათ „დაბრუნება და შინ მოსვლა".

დენიკინელ გაზ. „გოლოს როსიას" მოყავს რუსული საბჭოს მემორანდუმი შავ გენერლებისადმი, ნიანგის ცრემლებსა ღვრის იმ გაუგებრობისა და უნდობლობის შესახებ, რომელსაც კავკასიის ერები გრძნობენ დობროვოლიისადმი და პატიოსან სიტყვას იძლევა, რომ დენიკინი არ მოდის ამ ჟამად ბაქოზედ და „რამდენადაც ჩვენ საშუალება გვაქვს გავიგოთ დობრარმიის მთავარ სარდლობის განზრახვანი", დობროვოლია არც მომავალში ფიქრობს აქეთ გამოლაშქრებასო. სჩანს ბაქოში მოღვაწე შავი გაზეთის რედაქცია შიშს აუტანია. თვითონ ბოდიშობს და დენიკინსაც ბოდიშსა ხდის. რისთვის სწუხდებიან, ნუ თუ დობროვოლიის აგენტები ფიქრობენ, რომ მათ მოწმობასა და პატიოსან სიტყვას ვინმე დაიჯერებს. ვინ არის ისეთი გულუბრყვილო, რომ დენიკინის კეთილგანზრახვანი ამიერ კავკასიის რესპუბლიკებისადმი დაიჯეროს. დობროვოლიის გმირებს ბლომათ დარჩათ კუდები ამიერ კავკასიის რესპუბლიკებში, მათი აგენტები აქ ჯერ კიდევ ბლომათ არიან, ისინი თითებზე დათვლილია და თუ მათ დღემდე არავინ ახლებს ხელს, უნდა იცოდენ, რომ ომის დროს ციხეს შიგნიდან არავინ გაატეხინებს.

დენიკინი და დობროვოლია რომ ჩვენი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაუძინებელი მტერია, ჩვენ ეს მტკიცეთ ვიცით. რომ პირველ შეძლებისთანავე ის ჩვენს წინააღმდეგ წამოვა, ესეც ჩინებულათ ვიცით, ამაში არც თავს ვიტყუებთ და არც სხვას ვატყუებთ. აქ საერთოთ მოულოდნელი არაფერია, მაგრამ დღეს დღეობით ამის პირდაპირი ნიშნები არაა და თუ ეს მოხდა, ამ შემთხვევაშიაც არ უნდა ქონდეს პანიკას ადგილი. პანიკა მხოლოდ მაშინაა ბუნებრივი, როდესაც მოულოდნელი რამ ხდება. ჩვენ კი აქ მოულოდნელათ არაფერი მიგვაჩნია. დობროვოლიის ნაზარეთიდან ჩვენ კარგს არაფერს ველით და ცუდისთვის მუდამ მზათ ვართ.

ვფიქრობ, რომ დენიკინს არც იმდენი ძალა აქვს, რომ ამ ჟამად ასეთი თავხედობა გაბედოს.

ვიმედობთ, რომ მან კიდეც რომ გაბედოს, ევროპა ამის ნებას ვერ მისცემს.

მაგრამ არც პირველზე და არც მეორეზე ჩვენ იმედებს არ ვამყარებთ. სპარსეთი რომ საბერძნეთს განადგურებას უქადდა, შეუთვლა მიწა და წყალი გამოგზავნეთ მორჩილების ნიშნათო. „მობრძანდით და წაიღეთო" უპასუხეს ათინელებმა. სპარსელ მონათა უამრავი ლაშქარი თავს დაესხა ერთ მუჭა თვით მომქმედ დემოკრატიას...

დენიკინს სურს ჩვენი დამოუკიდებლობა და თავისუფლება გავუგზავნოთ. არა. მობრძანდეს და წაიღოს!

# კომუნისტების მუშაობა

## II

პირველ ხანებში ბოლშევიკების საოლქო კომიტეტი დიდ ყურადღებას აქცევდა პროპაგანდა აგიტაციას. ამისთვის ის არ კმაყოფილდება ადგილობრივი ძალებით და მოსკოვს სთხოვს დახმარებას. ერთ ერთ წერილში მოსკოვის ცენტრალური კომიტეტი ატყობინებს საოლქო კომიტეტს, რომ მიუხედავათ დიდი სურვილისა და საჭიროებისა არ შეუძლიათ რამდენიმე პირის მეტის გამოგზავნა, რადგან ფრონტის მდგომარეობა—იწერება ცე—კა—ისეთია, რომ ყველა ძალები ახლა აქ გვჭირდება. ამ ჟამად ეს ამხანაგებიც საკმარისია (დასახელებულია რამდენიმე პირი) და როცა საშუალება გვექნება კიდევ გამოვგზავნითო.

პარტია რომ პროპაგანდა აგიტაციას ეწევა და ამისთვის დახმარებას ითხოვს, გასაკვირი აქ არაფერია. მაგრამ თუ ჩვენ ვაქცევთ ამას ყურადღებას—ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ეს პროპაგანდა დასაწყისი იყო იმ გეგმის, რომელიც კომუნისტებმა მიზნათ დაისახეს და რომელსაც ისინი დღემდის უარს ყოფდენ.

მოსკოვიდან ჩამოსული კომუნისტები მხნეთ შეუდგნენ მუშაობას და სულ რაღაც ორიოდე თვის განმავლობაში მათი აზრით ხალხი საკმაოთ გაიჟღინთა კომუნისტური იდეით და აი საოლქო კომიტეტის პლენუმი ადგენს—შეუდგეს აქტიური გამოსვლების მოწყობას, რისთვისაც იგზავნება სხვადასხვა ადგილებში პასუხისმგებელი პირები საგანგებო მინდობილობით.

მზადება და თადარიგი დიდია. ყველაფერი მისხალივით გამოანგარიშებულია და, მათი აზრით, საათივით მოწყობილია. დახარჯული ფულის ერთ-ერთ ანგარიშში არის ასეთი ადგილები: ხუთი საათი „საქმისთვის"—თითო ათასი მანეთი. მაკრატელი მავთულების დასაჭრელათ—1750 მ. სპილენძის ქვიჯა (Ступка) „საქმისთვის"—150 მ. და სხ. ცხადია აქ ლაპარაკია ჯოჯოხეთის მანქანაზე.

რა და რამდენი იარაღი ქონდათ—ამის შესახებ არაფერია დოკუმენტებში, მარა ერთი ანგარიშის ადგილი საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ იარაღი მოტანილია ადესიდან. იქ სწერია: მარილის და სხვა იარაღის მოტანა სუხუმში—29 155 მ. მარილი და სხვა იარაღი! ეტყობა საგნის დასახელება არ უნდოდათ, მარა ველარ დაუცავთ ბოლომდე კონსპირაცია და „მარილი და სხვა იარაღი" ერთად მოუთავსებიათ. რომ „მარილი" იარაღია, ამას ამტკიცებს ზოგიერთი სხვა საბუთებიც.

დარწმუნდნენ რა ბატონი კომუნისტები, რომ ხალხი ხალხი მზათაა გაჰყვეს მათ, რომ მათი ორგანიზაციული მზადება დამთავრებულია, რომ ყველა და ყველაფერი რიგზეა, დანიშნეს დღე ამბოხების და გაანაწილეს როგორც ხელმძღვანელები, ისე მათი მოვალეობანი. ეს გეგმა მართალაც რომ იდეალურათ არის შედგენილი, გათვალისწინებულია ყველა წვრილმანი და, ასე გასინჯეთ, მეამბოხეთა სამარშრუტო ქუჩებიც კია დასახელებული. ნაანგარიშევია აგრეთვე რამდენი თოფი და პატრონა გვაქვს. შედგენილია სია და ადრესები ყველა სახელმწიფო დაწესებულებისა, ბინა მინისტრებისა, გვარდიის მთავარი და რაიონული შტაბების ზოგიერთი წევრებისა, სასახლისა, ყველა რედაქციებისა, პლანი ქალაქზე სტრატეგიული ქუჩებისა და სხვა. თითქმის დ წვრილებით გამოანგარიშებულია ჩვენი მთავრობის ძალა: გვარდია, ჯარი, მილიცია. ნაჩვენებია მათი ადრესები და რაოდენობა. თანახმად ამისა დაყოფილია მათი რაზმებიც.

სამინისტროებში, როგორც დადგენილებიდან სჩანს, ყველაზე მეტ ყურადღებას აქცევდენ სამხედრო და შინაგან სამინისტროს. შემდეგ გვარდიის შტაბს და ჯავშნიან მატარებელს, რომლის შესახებ მეტათ დაწვრილებითი ცნობებია მოყვანილი. დასახელებულია თუ სად დგას მატარებელი, რამდენი კაცისაგან შესდგება მისი რაზმი, რამდენი ყარაული ყავს და სხვა. არა ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ჯავშნიან ავტომობილებს. ერთ-ერთ სხდომაზე ამის შესახებ დიდი კამათი ყოფილა. ოქმში აღნიშნულია: „ამხ. ვასო წინააღმდეგია დასახელებული სპეციალისტის, რადგან ის ვერ შესძლებს ვერაფრის გაკეთებას, ჯავშნიანი ავტომობილი ყველაზე უფრო ძნელი საქმეა და სხ. (აქ ლაპარაკია ალბათ აფეთქებაზე. განი.)

ამბოხება და თავდასხმა უნდა დაწყებულიყო ერთ და იმავე დროს ქალაქის სხვადასხვა ნაწილებში, რომლის მიხედვითაც განაწილებულია მათი რაზმები. სადგურს უნდა დასცემოდა—200 კაც. სასახლეს—150 კ. რადიოს—50. გვარდიის შტაბს—300. მილიციის კომისარიატებს თითოზე—200. რედაქციები: „ერთობა"—30 კ., „სახალხო", „საქართველო", „სლოვო"—ათ ათი და სხ.

კომუნისტები იმდენათ დარწმუნებულნი ყოფილან გამარჯვებაში, რომ ერთი მათგანი პეტროვსკში მეგობარს სწერს: საოლქო კომიტეტმა გადასწყვიტა დაიწყოს აქტიური მოქმედება. მოგვიხდება მეტად მძიმე მუშაობა, მარა მეტად საინტერესოც. **იჩქარე წითელ საქართველოში, სადაც მალე აფრიალდება საბჭოთა დროშა...**

ამბოხება უნდა დაწყებულიყო, არა მარტო თფილისში, არამედ პროვინციებშიაც, სადაც დაგზავნილი ყოფილა განსაკუთრებული პირები ბლომა ფულებით „პარტიზანული რაზმების მოსაწყობად". ამავე მიზნისთვის სურდათ გამოეყენებიათ ყოველგვარი წვრიმალნი უკმაყოფილებაც კი. ასეთია მაგ. ციხეებში არეულობის მოწყობა და მისი გამოყენება, რისთვისაც კომიტეტს ცალკე დადგენილებაც კი გამოუტანია.

კომუნისტების საოლქო კომიტეტის მუშაობა მარტო საქართველოთი როდი განისაზღვრება. აქაური მუშაობა მჭიდროდ დაკავშირებულია აზერბეიჯანში და სომხეთში მუშაობასთან. განსაკუთრებით მრავალი დადგენილებები და დირექტივებია ოქმებში შეტანილი სომხეთის შესახებ, სადაც გაგზავნილ ფულის რაოდენობა უკანასკნელ თვეში რამდენიმე მილიონ მანეთს აღემატება. სომხეთში გაგზავნილ წარმომადგენელს რამდენჯერმე სწერენ: ეცადე, რომ ჩვენი პარტია მარტო სომხებიდან არ შედგეს. აუცილებელია სხვა ეროვნების წარმომადგენელნიც გაერიოს, ერთი მაინც, რომ ასე მას ინტერნაციონალური სახე მიეცეს. თუ რა გეგმა ქონდათ სომხეთში სამუშაოთ, ეს ჩვენ ჯერ ჯერობით არ ვიცით, რადგან ყოველგვარი მიწერ მოწერა სწარმოებდა სომხურ ენაზე და ენის უცოდინარობის გამო საშუალება არ გვქონდა გავცნობოდით იმ დიდძალ მასალას, რომელიც ამის შესახებ მოგროვილია.

დიდი მიწერ-მოწერა ყოფილა მოსკოვთან. ამ წერილებში ყველაზე უფრო საინტერესოა ერთი სადირექტივო დოკუმენტი დაბეჭდილი თხელ მიტკალზე რემინგტონით. დოკუმენტს ხელს აწერს მოსკოვის სახალხო კომისარიატის მდივანი ცნობილი კომუნისტკა სტასოვა და აზის რუსეთის ცენტ. კომიტეტის ბეჭედი. აი ეს დოკუმენტი. ძვირფასო ამხანაგებო! თქვენი წერილი მივიღეთ. გეგზავნებათ ფული და ლიტერატურა. ცეკამ უკანასკნელ სხდომაზე გადასწყვიტა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სამუსლიმანო აღმოსავლეთს. ეს ქვეყნები ისეთ მდგომარეობაშია, რომ ევროპის იმპერიალიზმთან ბრძოლა მათი სამკვდრო სასიცოცხლო საკითხია. ამიტომ მათი ამოძრავება და გამოყენება ადვილია. ამისთვის იგზავნებიან განსაკუთრებული პირები თქვენს განკარგულებაში. დავადგინეთ, რომ ვიცნათ ბაქოში გუმეტის კომიტეტი ჩვენი პარტიის წარმომადგენლათ. მათი საშუალებით უფრო ადვილი იქნება მუსულმანმასის ამოძრავება, რომელიც უნდა დაუპირდაპიროთ მუსავატელებს. უნდა გამოცხადდეს ადერბეიჯანი საბჭოთა ადგილობრივ რესპუბლიკათ. უნდა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სომხეთს, რომლის შემოერთებით ადვილი იქნება ხაზის გამართვა ოსმალეთისკენ. მკაცრი ბრძოლა უნდა ვაწარმოვოთ დაშნაკელების წინააღმდეგ. კავკასიის საქმეების სახელმძღვანელოთ ცეკასთან დაარსდა განსაკუთრებული კომისია, რომელიც გზავნის მაქ სამუშაოთ მთელ ჯგუფ ამხანაგებისას. გთხოვთ, როცა ფულისთვის ვინმე გამოგზავნოთ, იყოს სანდო პირი, თორემ მოდიან ზოგიერთები, მიაქვთ ფული და მერე ვტყობილობთ, რომ თქვენამდე აღარ მოაქვთ. გვ ცნობეთ შეძლების და გვარათ მაქაური მუშაობის შედეგები. წერილის დანარჩენი ნაწილი შეეხება რუსეთის ფრონტების მდგომარეობას

ამ წერილს კომენტარიები აღარ ესაჭიროება. მივაქცევთ მკითხველის ყურადღებას წერილის მხოლოდ იმ ადგილს, სადაც ლაპარაკია დაშნაკელებთან დამოკიდებულებაზე. მაშინ როცა მოსკოვის ცეკა მათ წინააღმდეგ სასტიკ ბრძოლას ითხოვს, ადგილობრივი კომუნისტები, როგორც ვიცით, არამც თუ ებრძვიან, აქა-იქ მათთან კონტაქტშიაც არიან. და რომ ეს ასეა, ამას მოწმობს კომუნისტების ბაქოს კომიტეტის დადგენილება მათივე ამხანაგის მჟავანაძის შესახებ. მჟავანაძეს ჩვენ ვიცნობთ პირადათ, ის აქტიური და საკმაოთ გავლენიანი კომუნისტია და აი ეს მჟავანაძე ბაქოს კომიტეტს გამოურიცხავს ორგანიზაციიდან. მიზეზი გამორიცხვისა, როგორც სათანადო ოქმი გადმოგვცემს, ყოფილა ის, რომ მჟავანაძეს სასტიკათ გაულაშქრია საოლქო კომიტეტის წინააღმდეგ, რომელსაც ბრალს სდებს იმაში, რომ „მან კომიტეტი გაავსო დაშნაკელებით და აწარმოებს დაშნაკურს პოლიტიკას". მჟავანაძეს ეს ბრალდება გაუმეორებია მისი საქმის გარჩევის დღესაც და დაუძენია: რადგან მე მასამართლებს დაშნაკური კომიტეტი, მე არ მინდა ასეთი კომიტეტის წინაშე პასუხი ვაგო და არც მისი დადგენილება იქნება ჩემთვის სავალდებულოვო. ამ განცხადებით სხდომაც დაუტოვებია. კომიტეტს „ცრუ ბრალდებისათვის" ის ორგანიზაციიდან გამოურიცხავს

მრავალ წერილებთა შორის არის ერთი, რომლის ნაწილის გაცნობა საინტერესო იქნება ჩვენი მკითხველისათვის. ავტორს ჩვენში კარგათ იცნობენ, როგორც პოლიტიკურად საეჭვო პიროვნებას. ეს ვახლავთ პოლისიუკი, რომელსაც, როგორც გახსოვთ, ეგ. გეგეჭკორმა სალდათთა საბჭოების ყრილობაზე ჯაშუში უწოდა. მაშინ პოლისიუკი სადღაც გაქრა. ახლა როგორც მისი წერილიდან სჩანს ის კომუნისტებთან ყოფილა კავკავში და დიდ როლსაც თურმე თამაშობდა. წერილში ის ჩამოსთვლის თუ რა ღვაწლი მიუძღვის მას კომუნისტთა წინაშე, უსაყვედურებს დავიწყებას და განაგრძობს: დავრჩი უფულოთ. არც სამუშაო მაქვს. მიუხედავათ ჩემი წერილებისა თქვენ ფულს არ გზავნით. ამავე დროს (დასახელებულია გვარი), რომელსაც გარს ახვევია კონტრ-რევოლიუციონერების მთელი

# დღეს

ფრანგული პრესის ცნობით მოსალოდნელი საფრთხის დროს საფრანგეთი არავითარ დახმარებას არ მოელის ამერიკისგან, ამიტომ მოლაპარაკებას აწარმოებს ინგლისთან.

კლემანსოს თხოვნით ამერიკის საზავო დელეგაციამ პარიზიდან წასვლის დრო გადადო.

ამერიკული ცნობით რუმინიის კაბინეტის გადადგომა და გერმანიის კაბინეტის მოსალოდნელი გადადგომა იმ მიზნით არის გამოწვეული, რომ საზავო კონფერენციის მუშაობას ხელი შეუშალონ.

გერმანიის რეიხსტაგის ახალი არჩევნები დანიშნულია მომავალი წლის აპრილში.

გერმანული პრესის ცნობით ინგლისს გადაწყვეტილი აქვს ბუდაპეშტი აღმოსავლეთის ვაჭრობის ცენტრად გახადოს.

---

რაზმი, იმდენს უგზავნით, რომ ათასობით ხარჯავს. მე კი ასეთი დამსახურებული მუშაკი უფულოთ უნდა ვიყო. გადავწყვიტე ჩულქის საქსოვი სახელოსნოს გახსნა, რისთვისაც საჭიროა ოცი ათასი მან. ამ ფულს ველი და თუ ახლაც არ გამოგიგზავნიათ, მაშინ..... ბ. პოლისიუკი, როგორც სჩანს, არც პარტიაში იშლის მაბეზღრობას და ფულის მიღებით გატაცებული თავის ამხანაგსაც აღარ ინდობს.

ჩვენ გავაცანით მკითხველს აღმოჩენილი დოკუმენტების ზოგიერთი ადგილები. სავსებით დოკუმენტები, რამდენათაც კი ეს შესაძლებელი იქნება, მალე გამოქვეყნდება და მკითხველისთვის უფრო ნათელი იქნება თუ რას ნიშნავს კომუნისტების მუშაობა ჩვენში და რას გვიქადის ის. მარა აქ მოყვანილი ცნობებიც კი საკმარისია იმისთვის, რომ ერთხელ და სამუდამოთ დავრწმუნდეთ კომუნისტების ბოროტ განძრახვაში, რომლის განხორციელებას ისინი ცდილობენ ფულების და საეჭვო პირების საშვალებით.

ვისაც უნდა ჩვენი ქვეყნის გადარჩენა, ვისაც უნდა აცდეს სამოქალაქო ომის საშინელებას, ვისაც უნდა შეინარჩუნოს მოპოვებული თავისუფლება და ვისაც შესწევს უნარი ამ თავისუფლების და ფასებისა, მისი წმინდა მოვალეობაა სიტყვით თუ საქმით შეუძლებელი გახადოს ჩვენში კომუნისტების გაბატონება.

ეს კარგათ უნდა შევიგნოთ და შევაგნებინოთ ჩვენ ხალხსაც...

განი.

# ეკონომიურ აღორძინებისაკენ

## I.

გაზეთ „ივერიის“ 28 გიორგობისთვის ნომერში ერთი საყურადღებო საკითხია აღძრული,—ეს ჩვენში საქსოვი წარმოების გაჩაღებისათვის ზომების მიღებაზე. მე უფრო ფართეთ დავაყენებდი ამ საკითხს—საერთოთ მრეწველობისათვის ხელის შეწყობაზე და ისეთი პირობების შექმნაზე, როდესაც ჩვენვე შევძლებდით ადგილობრივი ნედლეულობის სავსებით თუ არა—მეტ ნაწილის გამოყენებას.

დღესდღეობით ამ მხრით ჩვენ სავსებით დამოკიდებული ვართ უცხოეთის ბაზრიდან. მანქანების მიღება შეიძლება მხოლოდ იქიდან, რაც შექმნილ პირობების გამო, ძლიერ გართულებულია.

ომის მიერ გამოწვეულმა საწარმოვო ძალთა დაშლამ აიძულა ევროპის სამრეწველო ქვეყნები მოეშვირნეთ ხარჯვას და გაცემას თავისი ინდუსტრიის წარმოებათა.

მაგრამ ამ ინდუსტრიას ნედლეულობის გარეშე არსებობა არ შეუძლია და აქ ის ჩვენგანაც არის დამოკიდებული რამდენათაც ჩვენ ამ ნედლეულობის მესაკუთრენი ვართ. სამწუხაროდ, ჩვენ გვიხდება ახალი სახელმწიფო შენობის აგება მეტად არა ხელსაყრელ პირობებში და ეს გვავლებს ამ კითხვის ადაჰრის დროს დიდს სიფრთხილეს.

სახელმწიფოს ჩაურევლად აქ ვერაფერი გაკეთდება. დღეს ჯანმთელი ვაჭრობა ფაქტიურად არ არსებობს. არის მისი სუროგატი—სპეკულიაცია, რომლის ალაგმვაში სახელმწიფო დიდათ დაინტერესებულია.

გარდა ამისა ჩვენი ნედლეულობას აქვს მნიშვნელობა როგორც ერთგვარ საწინდარს, რომელიც უზრუნველყოფს უცხოელების ინტერესებსა, რომელნიც აქ მოდიან სავაჭროთ. ეს ნედლეულობა არის ერთგვარი ოქრო, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენ ვალდებულებასაც შინ. ამიტომაც სახელმწიფო ვერ დაუშვებს ამ ქონების გაფლანგვას და რომელიმე კუთხის ან კერძო პირის სურვილის და მიხედვით დახარჯვას.

მაგრამ მისაღებია მხედველობაში მწარმოებლები, რომელიც უნდა იყოს დაინტერესებული სახელმწიფოსთან ერთად თავის წარმოების წარჩინებაში, რომ არ მიეცეს მის მოქმედებას ერთგვარი ხასიათი სახელმწიფო ბეგარისა, ვინაიდგან ასეთ შემთხვევებში ხშირია ინდიფერენტიზმი და გულგრილობა, ვინემ მისწრაფება წარმატებისაკენ და ახალის შექმნისადმი. სახელმწიფოც ამ მოსაზრებიდან უნდა გამოდიოდეს თავისი საეკონომიო პოლიტიკაში.

ეს იქნება: პირველი ხელის შეწყობა წარმოებს არსებული გაფართოებლათ და ახალის გასაჩაღებლათ. მეორე სახელმწიფოებრივი მონოპოლიები და მესამე—იძულებითი გაერთიანება წარმოების, როგორც არსებულის, ისე დასაარსებლათ განზრახულთა და ხელმძღვანელობა და ხელის შეწყობა იმდენათ, რამდენათ ესა თუ ის წარმოება არა დროებითია, არამედ სამერმისო. იმ ზომათა შორის, რომლებსაც მიზნათ ექნება ადგილობრივი წარმოებისთვის ხელის შეწყობა, თვალსაჩინო ადგილი უნდა ეჭიროს პირველ ხანებში სატყეო წარმოებას, წყლის ენერგიის ექსპლოატაციას, საქსოვი წარმოების გაჩაღებას და ტურისტების ექსპლოატაციას, სააგარაკო საქმის მოგვარებას და სასოფლო სამეურნეო იარაღების ადგილობრივ დამზადებას. დღეს დღეობით ჩვენი სატყეო წარმოება პირვანდელ მდგომარეობაშია, ეტყობა გამოცოცხლება მხოლოდ სულ მოკლე ხანში. პირველი ნაბიჯები, აქ კერძო ინიციატივა გამოიყენებით ისე როგორც საკუთარი მეურნეოა წესით ეწარმოებით საქმე დამარცხებით დაბოლოვდა. ორივე მოვლენას აქვს თავისი მიზეზები, რომლის გარჩევას ჩვენ არ შევუდგებით. ახლა იწყება ახალი ცდა, ეს თვითმართველობათა ამ საქმეში ჩაბმა და უცხოელთა კაპიტალისტების და ინიციატივის გამოყენება რასაკვირველია ორივე შემთხვევაში საჭიროა დიდი მოფიქრება. პირველში რომ მეტის მეტმა ოპტიმიზმმა არ გაგვიტაცოს და ისეთი ტვირთი არ ავიკიდოთ ზურგზე, რომ მისმა სიმძიმემ გაგვჭყლიტოს, მეორე შემთხვევაში არ მოხდეს ის, რომ გაწაფულმა ვაჭრობაში ევროპის კომერსანტებმა არ ჩაგვითრიონ ისეთ საქმეში რომელიც საშუალებას მისცემს მათ სიმდიდრის ამოწურვისა და აქ ადგილობრივი არაფერი დატოვონ. როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში უნდა იქნეს მიღებული ადგილობრივი არსებული სატყეო წარმოება, მისი ჩაკვლა სრულიად ჩვენის აზრით არ იქნება მიზანშეწონილი და სახიფათოც არის, ვინაიდან დიდს პასუხისმგებლობას აკისრებს სახელმწიფოს და მის ორგანოებს. ერთ რომელიმე ორგანიზაციაზე დაყრდნობა ამ საქმეში თუნდაც ის საზოგადოებრივიც იყოს, ჩვენ არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად და საჭიროა ყველა ორგანიზაციების შემოქმედებითი უნარის გამოყენება და შესაძლებლობის ფარგლებში კერძო ინიციატივისაც. ნუ დავივიწყებთ, რომ ჩვენ გვაქვს 1,800,000 დესიატინა ტყე და აქედან მესამედიც არ მუშავდება დღეს დღეობით. დანარჩენი კი უცდის გამოცდილ მეურნეს, უცდის გამოცოცხლებულ კაპიტალს.

ეგევე ითქმის თეთრ ნახშირზე. ის ჩვენ გამოუყენებელი გვაქვს. ბევრმა არც კი იცის მისი მნიშვნელობა. მხოლოდ ამ ომის დროს მისი დიდი მნიშვნელობა გაიგო ზოგიერთ სახელმწიფოებმა. იტალიის სახელმწიფოს, მეურნეობის უთავბოლოთ წარმოების გამო, ელექტრონის ენერგია ჩრდილოეთში ალპებიდან გამომდინარე მდინარეების უსისტემოთ ჰქონდა გადაცემული კერძო მწარმოებლებისადმი. როდესაც ამ ომიანობის დროს მან მოინდომა თავის რკინის გზების ელექტრონის ენერგიაზე გადაყვანა, რაც საჭირო იყო განსაკუთრებით ჩრდილოეთში ფრონტის სიახლოვის გამო, ეს მან ვერ შესძლო და იძულებული იყო ინგლისის ქვანახშირით ესარგებლა და ამან ხელი შეუწყო სახელმწიფოს საშინელ დავალიანებას. პირიქით შვეიცარიამ, რომელსაც ამ მხრით საქმე უკეთ ჰქონდა, მთელი რიგი სტრატეგიული ხასიათის რკინის გზების ელექტროფიკაცია მოახდინა და ჩინებულად ჩაატარა მობილიზაცია და მიუხედავათ ბევრი მუქარის, ვერავინ გაბედა მისი ნეიტრალიტეტის დარღვევა.

მთელი რიგი მდინარეებია მაგ. რაჭის მაზრაში, რომელთა ენერგია დღეს სრულიად უსარგებლოდ იხარჯება და რომლებიც კი, თუ იქ დაადგამდით ტურბინებს, დიდათ წაწევდა ამ ნიჭიერ ხელოსანთა ქვეყანას. მაგრამ არა გვაქვს მანქანები. ის აქვს ევროპას და ჩვენ უნდა მოვახერხოთ იქიდან უკანასკნელთა გამოზიდვა. არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის საქსოვი საქმის გაჩაღებას. არის ჩვენში ზოგიერთი რაიონები, სადაც ქსოვას ეტანებიან, განსაკუთრებით მარტვილის რაიონი სენაკის მაზრაში, ხონი—სამტრედიის რაიონი, ქუთაისის მაზრაში, დუშეთის მაზრა და სხ. საჭიროა ამ მხრით ჩვენი დახმარება და ამას დიდი მნიშვნელობა ექნება. მოწყობა სანიმუშო საფეიქროების და უფასო ცოდნის გავრცელება დიდათ ხელს შეუწყობდა ამ საქმეს. მით უმეტეს, ჩვენ ხელთ გვაქვს ადგილობრივი თვითმართველობანი, რომელთა პირდაპირი მოვალეობას შეადგენს ამაზე ზრუნვა. აქ ცენტრშიაც არის ძველი მთავრობის მიერ დატოვებული დაწესებულება, რომელიც ამგვარ საქმეებს ემსახურება, ეგრეთ წოდებული შინა მრეწველობის კომიტეტი, რომელიც დღეს უიმედო დღეებს ატარებს და საჭირო კი იყო მისი გამოცოცხლება. საჭიროა მოწყობა სანიმუშო კურსების ამ დაწესებულებასთან, რომელიც გააცნობდა ხალხს ამ საქმის მნიშვნელობას და იმავე დროს მოამზადებდა კადრს მცოდნე პირებისა საქსოვ დარგში.

საჭიროა პარალელურად საკურორტო საქმესაც მიექცეს ჯეროვანი ყურადღება, ვინაიდან ჩვენ ეკონომიური წარმატებაში ამ დარგს დიდი მნიშვნელობა ექნება, მით უმეტეს თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ამ მხრით ჩვენ გაცილებით უფრო მდიდარნი ვართ შედარებით სხვებთან. სალითონო ინდუსტრიაც არ შეიძლება სრულიად უყურადღებოთ იქნას დატოვებული სახელმწიფოსაგან, განსაკუთრებით ის ნაწილი, რომელიც სასოფლო-სამეურნეო იარაღების დამზადებას მისდევს. ამ კითხვას ჩვენ შემდეგს წერილში დავუბრუნდებით, აქ კი ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ რამდენათ უცხოეთი დაინტერესებულია ჩვენი ნედლეულობით, იმდენათ ჩვენ უნდა ვეცადოთ გამოვიყენოთ უცხოეთი და მისი ფაბრიკა ქარხნები ჩვენში მანქანების შემოსაზიდავათ.

სახელმწიფომ ბეჯითად და მედგრათ უნდა გაუძღვეს ქვეყნის აღორძინების საქმეს, თუ ჩვენ გვსურს თავიდან ავიშოროთ ეკონომიური და მასთან ერთად პოლიტიკური კატასტროფაც.

მ. ც—შვილი

# კახეთი

## V

კახეთის სოფლები მძივებივით არიან გამწკრივებული ერთ ხაზზე როგორც ალაზანს გამოღმა, ისე გაღმა.

არის შიგა და შიგ პატარა სოფელი მაგრამ უმეტესათ დიდი სოფლებია, განსაკუთრებით ალაზანს გაღმა. ხშირათ სოფელში მცხოვრებთა რიცხვი რამოდენიმე ათასს აღემატება. დიდი სოფელი საუცხოვო დაბას წარმოადგენს: არის დუქნები, მაღაზიები, სხვადასხვა სახელოსნო, ბაზარი.

პატარა სოფლის დუქანშიაც ყოველდღე ნახავთ საკლავს: ცხვარს, ღორს, ან უფრო მსხვილს.

გამოღმა სოფლებს ხშირათ ჰყოფს ერთი მეორისაგან ხევი, რომელიც კახეთს მეტათ დიდ ზარალს აყენებს. მოვარდება და ჰგლეჯს ყანებს, ვენახებს. ამ ხევებს კახეთში მეტათ დიდი ადგილები გაუვერანებიათ და მომავალში აუცილებელია მათი დამორჩილება და მტკიცე და ვიწრო კალაპოტში ჩაყენება.

გაღმა სოფლების სილამაზეს და თან სიმდიდრეს მთის ნაკადულები შეადგენ. ნაკადულები იყოფიან მრავალ ტოტებათ და მთელი სოფელი აქვთ დასერილი: ყოველ უბანს ანკარა წყალი ჩამოურბის, სოფელს ამშვენებს და ყანა-ვენახსა რწყავს.

ამ მხრივ განსაკუთრებით ლამაზია შილდა, ყვარელი.

შილდა კახეთის სოფლების ვენეციაა: საითაც უნდა გაიხედოთ, ან გაიაროთ, ანკარა ნაკადულის ლიკლიკი გეყურებათ.

კახეთის ბუნება მთა და ბარია. კახელი ადამიანის ბუნებაშიაც სწორეთ მთისა და ბარის თვისებაა შედუღებული: ის მტკიცეა, ვით მთა, გულ ღია, ვით ბარი.

კახეთში თქვენ ნახავთ ნამდვილ გოლიათებს. როდესაც ისინი დადიან, მიწა იძრევა და [illegible], ოთახი ზანზარებს, საერთოთ კი კახელი საშუალო ტანის არის, ჩასკვნილი, მკვრივი, სქელ კისრიანი; არწივისებური ცხვირი, სქელი წარბები, ცოცხალი წაბლის ფერი თვალები და მზისაგან შერუჯული სახე გმირულ გამომეტყველებას აძლევენ მთელ იმის გარეგნობას. კახელის აგებულება მტკიცე მასალიდან არის აშენებული და ეს სიმტკიცე კახელს ყველაფერში ეტყობა: ხელის ჩამორთმევაში, სიარულში, მუშაობაში, პურის ჭამაში, ლხინში, სიმღერაში, სიძულვილში და სიყვარულში.

თქვენ ვერსად ვერ ნახავთ ისე მტკიცეთ აშენებულ სახლს, როგორც კახეთში: ისეთი სქელი და მაგარი კედლებია, თითქოს სადგომათ კი არა, ციხე სიმაგრეთ აუშენებიათო.

ჩვენი ხალხი საერთოთ სტუმართმოყვარეა, გულუხვი, პურ მარილიანი. მაგრამ კახელის სტუმართმოყვარეობა და პურ-მარილიანობა განსაკუთრებულია.

კახელი ადამიანი დინჯია, აუჩქარებელი. თავის სიდინჯეს ის არსად არ ჰღალატობს,—არც მუშაობაში, არც სიარულში, არც ლაპარაკში და არც ლხინში.

კახელს დამალული, დაფარული არაფერი აქვს,—ის პირდაპირია, უშუალო, დაუფარავი და გულადი.

ქართლში, იმერეთში ძველ ციხეებს ჰნახავთ მაღლობებზე, მიუვალ ადგილას. კახეთში ციხეები ვაკეზეა.

ძველ კახელებს მაღალი მთები დაუტოვებიათ და ძირს, ველზე აუგიათ ციხეები.

რატომ?

იმიტომ რომ კახელს მტრისა არ ეშინოდა, ის მტერს არ ემალებოდა: გამაგრდებოდა ციხეში და მტერს შეუთვლიდა, მობრძანდი და შემებიო.

წერა-კითხვის მხრივ კახეთი ჩამორჩენილია და ამ ნიადაგზე დიდი მუშაობაა საჭირო, მაგრამ ხალხის რწმენა და შეხედულება უკვე შეარყია რევოლიუციამ ძირიან ფესვიანათ და სულ მალე კახეთი სწავლა-განათლებაშიაც საფუძვლიანი იქნება.

კრებებს ხალხი ყველგან დიდის ყურადღებით ესწრებოდა და, მიუხედავათ იმისა, რომ მუშაობის დრო იყო, ყოველი კრება მრავალრიცხოვანი იყო.

აქა იქ უთქვამთ, თქვენი კრება იმდენს რას მომცემს, რასაც გუთნეულის გაცდენით დავკარგავო, მაგრამ ასეთი შემთხვევები მეტის მეტად მცირე იყო. ჩვენს ლაპარაკს სოფლელები გულდასმით უსმენდენ და, როდესაც ლაპარაკის დროს შეკითხვები გაიმართებოდა, უმეტეს შემთხვევაში საერთო, საზოგადო მნიშვნელობის შეკითხვებს იძლეოდა ყველა.

თუ ვინმე დაიწყებდა საკუთარ ჭირვარამზე ლაპარაკს, მაშინათვე ჩააჩუმებდენ სხვები; რა დროს ეგ არის, საზოგადოთ ილაპარაკეო.

მხოლოდ ენისელში მომმართა ერთმა წინეთ მე დესეტინა მიწას ექვს თუმნათ ვყიდულობდი და თქვენ კი ამდენსა და ამდენს მახდევინებთო. მეორემ წამოიძახა: დესეტინა მიწას ორ თუმნათ ვიყიდიო.

ამის მზგავსს იმერეთსა და გურია სამეგრელოში დღეს არავინ იტყვის; მხოლოდ ეს მოხდა მარტო ერთგან და იქაც ამ ორს თანამგრძნობაში არ აღმოჩენია.

ხალხს მთავრობა უნდა, ხალხს დამოუკიდებლობა უნდა, ხალხი უჭერს მხარს ჩვენს მთავრობას, ხოლო დაჟინებით მოითხოვს ტყისა და მიწის საკითხის დროზედ მოწესრიგებას.

არც დენიკინის, არც ბოლშევიკების აგენტებს ხალხში ნდობა და გასავალი არა აქვთ.

აი რა დასკვნას იძლევა ყოველი კრება.

იმერეთში კრებებს ქალები მეტი ესწრება, ვიდრე კახეთში. ქალები აქ მორცხვათ, გაუბედავათ და განზე დგანან, თითქოს ეშინიათ მამაკაცებში არევისაო.

მსმენელთა შორის შევნიშნავდი [illegible] მე იმერულ ტიპებს. ესენი იყვენ ან თვითონ გადმოსახლებულები იმერეთიდან, ან წინეთ გადმოსახლებულთა ჩამომავლობა.

არის თუ არა საერთოდ მტრული განწყობილება კახელი გლეხების იმერლებისადმი?

მე ეს ვერა ვნახე: იმაში კი დავრწმუნდი, რომ ჩვენი მტრები ამ ნიადაგზე მუშაობენ. თითო ოროლა ფეხის ამყოლი შეიძლება შეიძინეს სადმე, მაგრამ საერთოდ კახელი იმერელში ძმასა და თავისიანს ჰხედავს. მხოლოდ, როდესაც თქვენ ლაპარაკობთ სახალხო კრებაზე იმერეთში, ხალხი აშკარათ, დაუმალავათ, უშიშრათ და მოურიდებლათ გამოთქვამს თავის გულის ვარამს—რა მოსწონს და რა არ მოსწონს, ვინ აწუხებს და ვინ ეპყრობა უსამართლოთ.

კახელი გლეხი უმეტეს შემთხვევაში ასეთ გაბედულობას ვერ იჩენს. ის საერთოთ ჩივის უსამართლობაზე, ძალმომრეობაზე, მაგრამ, როდესაც შეეკითხებით: მითხარი, დამისახელე, ვინ გაწუხებს, ვინ გავიწროებს, ვინ არ ასრულებს მთავრობის ბრძანებასა და ჩვენს კანონებსო, ის სდუმს და დასახელებას ვერა ჰბედავს.

სოფლათ არის ისეთი უსამართლობა, ძალმომრეობა, რომლის მოსპობა მთავრობის საქმე და ვალია, მაგრამ არის ისეთიც, რომელთანაც ბრძოლა თვითონ სოფლის საქმეა.

სოფლის მიერ არჩეული პირები სასოფლო კომისიებში ან თემში ზოგან უსამართლობას სჩადიან, მექრთამეობენ.

შენი არჩეულია, აილე და გადააყენე; პირველის შეხედვით ეს ადვილი საქმეა.

მაგრამ კახეთში ეს არ არის ადვილი საქმე. მექრთამეებსა და მავნე პირებსა ჰყავთ თავისი დამცველები, ქომაგები, ამქარი, რომლებიც ხშირათ არავითარ საშვალებას არ ერიდებიან და ხალხს მათი ეშინია.

ასეთი გარემოებით სარგებლობენ ყველა ისინი, ვინც პირადი სარგებლობის მეტს არას დაეძებს.

ცხადია, სანამ ხალხი თვით შეგნება და შეკავშირება შეებრძოლებოდეს ასეთ დამღუპველ მოვლენას, თვითონ მთავრობა უნდა შეებრძოლოს.

ამისათვის კი საჭიროა მჭიდრო კავშირი სოფელსა და მთავრობას შორის. მთავრობის წარმომადგენლები ხშირათ უნდა დაუვლიდენ ხოლმე სოფელს, ადგილობრივ და სწრაფათ უნდა სპობდენ ყოველგვარ უსამართლობას.

სხვა გზა არ არის მანამდე, სანამ ჩვენი რესპუბლიკა მტკიცე ნიადაგზე დადგებოდეს.

ჩვენ ხალხს ყოველივე აქვს, რომ ბედნიერი იყოს. ის უნდა იყოს ბედნიერი, ის იქნება ბედნიერი. მე ეს ბედნიერება ყოველთვის მრწამდა. კახეთის ახლოს გაცნობამ კიდევ უფრო დამარწმუნა.

უსამართლობა, ძალმომრეობა, მექრთამეობა და ბევრი სხვა რამ დროებითია, წარმავალია და ყოველ დიდ ნგრევას და დიდ ახალ საქმეს ის ყველგან თან დასდევდა.

საქართველო ანგელოზებით არ არის დასახლებული, მაგრამ რომელი ქვეყანაა ანგელოზების სამეფო?

საქართველო დასახლებულია ისეთი ხალხით, რომელსაც შეუძლია უკეთესი ცხოვრების შექმნა და ჩვენ ყველანი იმედით სავსე გულითა და შეურყეველის რწმენით უნდა დავეხმაროთ მას ახალი ცხოვრების აშენებასა და განმტკიცებაში.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია კახეთი.

ეს კუთხე თვალია ჩვენი რესპუბლიკისა თავისი სიმდიდრით, სილამაზით, დიადი, ბუმბერაზი ბუნებით. ის უნდა გადაიქცეს ჩვენი რესპუბლიკის სიმტკიცეთ და გადაიქცევა კიდეც, თუ კი ხალხს დაუახლოვდებით, ხალხთან მივალთ და მას სიყვარულს დაუმტკიცებთ, მასში სინათლესა და სამართლიანობას შევიტანთ.

იგ. გომართელი.

(დასასრული იქნება)

# დეპეშები

(საქართველოს ტელეგრაფის სააგენტო)

5 დეკემბერი.

**ამერიკულ პრესის ცნობები.**

(ლიონის რადიო სადგურიდან)

პარიზის დიპლომატები ევროპის ექვს სამინისტროს კრიზისს ასე ხსნიან: რუმინიის კაბინეტის გადადგომა და გერმანიის კაბინეტის მოსალოდნელი გადადგომა იმ მიზნითაა გამოწვეული, რომ საზავო კონფერენცია შევიწროებულ მდგომარეობაში ჩაეყენებინათ. რუმინიისთვის წარდგენილი ვადა 24 ნოემბრის ნოტაზე საპასუხოდ ხუთშაბათს თავდება. რუმინია ფიქრობს გააჭიანუროს დრო მანამდის, სანამ ახალი სამინისტრო შედგებოდეს. რუმინიის კაბინეტის გვარი მდგომარეობა, რომელიც გერმანიაშია მოსალოდნელი, ხდება იმ მოძრაობის გამო, რომელსაც მიზნათ აქვს საზავო კონფერენციის ხელის შეშლა, რომ მან ვერ აიძულოს გერმანია საზავო ხელშეკრულების ხელის მოსაწერათ. თუკი გერმანიას შეუძლია მოახდინოს შთაბეჭდილება, თითქოს იგი მონარქიზმს, ან ბოლშევიზმს ელტვის, მაშინ .. (გამოტოვებულია) ეს არის ეხლა გათავდა პოლონეთის მთავრობის კრიზისი. პადერევსკი იძულებული იყო მთავრობაში დარჩენილიყო, რადგანაც მის მაგიეროს ვერავინ იპოვეს. ან და რა სახალისო მართო ის ხალხი, რომელიც თავის პოლიტიკურ ცხოვრებას იწყებს ცარიელ ხაზინით, არა აქვს შემოსავალი და ვაჭრობა იმ დროს, როდესაც აუარებელი გასავალი აქვს სამხედრო საჭიროებისათვის: ომობს, ვალშია, აკლია სურსათ სანოვაგე, ნახშირი და გადასაზიდი საშუალებანი. შემდეგ იტალიის სამინისტროს კრიზისი, რომელიც საერთო გაფიცვით იწყება. მიუხედავათ იმისა, რომ მას ახალი ცენზურა მალავს, იგი მაინც გასაოცარ ხმებს ბადებს. იტალიის აქაური წარმომადგენლები საქმეს ისე ასურათებენ, თითქოს იტალიაში უბრალო შეტაკებები ხდებოდეს ქუჩებზე. მაგრამ ეს თუ ასეა, მაშინ რაღა საჭირო იყო ცენზურა? იტალიელები ცნობილნი არიან თავისი მუდმივი ჩვეულებით: უფსკრულის ნაპირას მივლენ და მხოლოდ მაშინ შეჩერდებიან და მოკიდებენ საქმეს ხელს, თითქოს აქ არაფერი მომხდარიყოს, ცნობილი არიან აგრეთვე თავისი დემონსტრაციებით, რომლებიც მუდამ მყვირალაა, მაგრამ არას დროს არავის სერიოზულ ზიანს არ მიაყენებს. შემდეგ, ვენიდან მოსული დეპეშები, რომელნიც შეიძლება, ევროპის სხვა კუთხესთან შედარებით ყველაზე უფრო გაჭირვებულ მდგომარეობას ხატავდეს. ხალხი, რომელიც სიცივისა და შიმშილისაგან მხეცად იქცევა და (გამოტოვებულია) არსებობისათვის ბრძოლაში. ვენის მთავრობა იუწყება, რომ ეხლა უკვე გვიან არის უბედურებას ხელი შეუშალო, რადგანაც დახმარება ადრე ვერ მოვიდა. კვირაში ერთი ვედრო ნახშირი, ნახევარ გირ. ფქვილი, უხორცობა და სხ. მცხოვრებნი მთავრობის სურსათ სანოვაგის საწყობებს არბევენ, ისპანიის კრიზისმა გამოიწვია [illegible] მღელვარება [illegible] 17 [illegible] გამო.

**ფრანგული პრესის ცნობები.**

ჩრდილო საფრანგეთის აღდგენაში გერმანიის აღდგენის საკითხი შეიცვალა მას შემდეგ, როდესაც ფრანგმა არხიტექტორებმა განაცხადეს, რომ მათ არ სურთ გერმანიის არხიტექტორებთან მონაწილეობა მიიღონ ახალშენებათა პლანების დახატვაში. ალბათ გერმანელების მონაწილეობა სასურველია უმთავრესად სამრეწველო შენობების აგებაში და ამ შენობების მანქანებით და სხვადასხვა აპარატებით მოწყობაში. ამ სამუშაოს უდიდესი ნაწილი შესაძლებელია დამზადდეს გერმანიაში—ასე რომ, გერმანელი მუშები მარტო ჩრდილო-საფრანგეთში იქნებიან საჭირონი.

შვეცია-გერმანიას შორის ახლამა სატელეგრაფო კაბელმა მოქმედება დაიწყო. ომამდის ბერლინიდან 1,200 კილომეტრის სიშორეზე პარიზს ესაუბრებოდენ, ესაუბრებოდენ აგრეთვე 1,350 კილომეტრის სიშორეზე მილანს, ფიქრობენ 2,000 კილომეტრის სიშორეზე მყოფ რომთან საუბრის გამართვას. ამერიკაში საუბრობენ ამერიკასა და სან ფრანცისკოს შორის 5,000 კილომეტრის სიშორეზე. მაგრამ აქ შეერთება ხდება ჰაერით იმ დროს, როდესაც შვეციასთან წყალშია გაბმული 1,400 კილომეტრის სიგრძე კაბელი. ეს ყველაზე უგრძესი კაბელია მთელ დედამიწაზე. ხმის გასაძლიერებელი გაკეთებულია გერმანიაში შტრალზუნდში და შვეციაში კი—მალმეში. ამ კაბელით შეუძლია საუბარი გერმანიაში შემდეგ ქალაქებს: ბერლინს, ჰამბურგს, ალტონას, კილს, ლიუბეკს, როსტოკს, ვარნემიუნდს, შვერინს, შტეტინს და შტრალზუნდს.

შტუტგარტის ლანდსგერიჰტმა გააუქმა ძველი იმპერატორის წინასწარი აკრძალვა „ბისმარკის აზრთა და მოგონებათა“ მესამე ტომის გამოცემის შესახებ. ეს ნაწარმოები ჯერ არ უნდა ყოფილიყო გამოცემული. ბისმარკი კი ამბობდა, რომ მესამე ტომი შეუმოკლებლად უნდა გამოიცესო. რადგანაც ამ ტომში დაწერილი უნდა ყოფილიყო ყოფილ იმპერატორის წერილები, ამიტომ ეს შესაძლებელია მხოლოდ მისი თანხმობით. ეს საკითხი კიდევ გაირჩევა უმაღლეს ლანდსგერიჰტში.

ესტონეთის რესპუბლიკის ბერლინელ წარმომადგენელის ცნობით საბჭოთა რუსეთის საზავო მოსალაპარაკებლათ დაუნიშნავს ერთ დროს ბერლინში დატყვევებული ბოლშევიკების ლიდერი რადეკი. ესტონეთის მთავრობამ რადეკს შემოსვლის უფლება მისცა. ელიან გერმანიის მთავრობის ნებართვასაც მისი შემოსვლის შესახებ.

გერმანიის რეიხსტაგის ახალი არჩევნები დანიშნულია 1920 წლ. აპრილში.

მილანში შეტაკება მოხდა.

კლემანსოს და კროუს თხოვნით ამერიკის დელეგაციამ პარიზიდან წასვლის დრო გადასდო.

ისპანიის კაბინეტი, რომლის გადადგომის შესახებ იყო ცნობა, ისევ დარჩა მას შემდეგ, რაც პარლამენტმა ნდობა გამოუცხადა.

უნგრეთის გაზეთების ცნობით ინგლისი ფიქრობს ქ. ბუდაპეშტი აღმოსავლეთ ვაჭრობის ცენტრათ გახადოს. ამ მიზნით დუნაიზე დიდ ცენტრალურ სავაჭრო სადგურის გასაკეთებლათ თანხაც გადასდო.

„ეხო დე პარის“ ცნობის გამო, თითქოს ამერიკის დელეგაციის წასვლის გადადება ამერიკისა და მოკავშირეთა სოლიდარობას მოასწავებდეს და ეს შეთანხმება აღინიშნება კიდევ მით, რომ ორშაბათს პოლკმა მიიპატიჟა გერმანიის წარმომადგენელი ფონ ლერსნერი და უსაყვედურა მას—ოფიციალური წყაროებიდან იუწყებიან, რომ ფონ-ლერსნერს 1 თვეზე მეტია, რაც პოლკი არ უნახავს.

**ბოლშევიკური ცნობები.**

**მოსკოვი.** დეკემბრის 4. სრულიად რუსეთის კომუნისტური პარტიის კონფერენციის გუშინდელი სხდომა მოანდომეს ორგანიზაციულ და უკრაინაში საბჭოთა პოლიტიკის საკითხს. ამ უკანასკნელ საკითხზე ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა ლენინმა.

**№ ის არმიის შტაბი.** დეკემ. 4. ყუბანის მე 4 პოლკიდან გაქცეულთა სიტყვით ყუბანიდან ინგლისელებმა სრულიად წაიღეს ხორბალი; მცხოვრებლებს მხოლოდ სათესი ნორმა დაუტოვეს, ამან გამოიწვია აჯანყება. მეამბოხეთა დასაწყნარებლად გაგზავნილი ჯარი აჯანყებულების მხარეზე გადავიდა. ამ ჟამად აჯანყებულებმა დაიჭირეს თითქმის მთელი ყუბანი და თავს დაესხენ როსტოვს და ნოვოჩერკასკს, რამაც გამოიწვია დენიკინის შტაბის კონსტანტინოვკაიას სტანციაში გადატანა. სომხები (?) და თერგის ყაზახები ფრონტიდან იარაღით შინ წავიდენ და დენიკინის არმიის საზღვარზე ყარაულები დააყენეს.

**მოსკოვი.** დეკ. 4. სამხედრო ცნობა.

რეის რაიონში საარტილერიო სროლა. ბორისოვის სამხრეთ-აღმოსავლეთ 20 ვერსზე ჩვენ რამდენიმე სოფელი ავიღეთ. მტერი ბერეზინას იქით ვაგდეთ. მოზირის რაიონში ჩვენი ეგრაები მხნედ მოქმედებენ. პერეიავის მიმართულებით ქალ. კოზელეს სამხრეთ-აღმოსავლეთით 30—45 სზე ჩვენ სოფლები ავიღეთ სუმის კოვის მიმართულებით ქალ. ახტირის დასავლეთით და ჩრდილოეთით ენ მდ. ვორსკლაზე წინ წავიწიეთ. ჯა ხარკოვის მიმართულებით ჩვენმა რმა სადგ. გოტნია აიღო და სამხრეთ 15 ვერსზე წინ წაიწია. წამოიყვანა ტყვეები, ხელში ჩაიგდო 3 ტყვიის ფრქვეველი, თოფები და სხვა ქონება. ესკ ხარკოვის მიმართულებით ქალაქ როჩასა და რკინის გზის შუა ბრძოლა. ვალიუკის მიმართულებით მტერი ოვო-ოსკოლიდან გამოვრეკეთ და სამხრეთისაკენ ვდევნით, აღმოსავლეთით პალატოვსკასთან ჩვენი მოწინავე რაზმების შეტაკებაა. ესტროხოვის მიმართულებით სად. სადგ. საგუნთან ჩვენი არი შეტევას განაგრძობს. მტერი სასტ წინააღმდეგობას გვიწევს. პავლოვის ჩრდილოეთით 20 ვერსზე ჩვენი არი იბრძვის. მდ. ოზერეცსა და მდ. ვედიცას შუა წითელი ჯარი დონიენ შეტევას განაგრძობს. მტერი ზოიერთ ადგილას ამაოდ სცდილობს წინააღმდეგობის გაწევას.

ალაჩის სამხრეთ-აღმოსავლეთით 40 რსზე სოფ. ხოროშენკოვთან ბრძოლის როს ჩვენ წამოვიყვანეთ ტყვეები. ცა იცინის რაიონში დონსა და ვოლგას შუა მტერი კაჩალინსკაიას რაიონში შეტევას შეეცადა, მაგრამ დიდის არალით უკუ ვაგდეთ. ჩვენი ჯარი ლ. აკმოლინსკს უახლოვდება. ამ აიონში ჩვენ წამოვიყვანეთ 100 ტყვე. კინის გზით ჩვენი ჯარი სლავგოროდში შევიდა. წითელი პარტიზანების ცნობით, ბარნაულსკის რაიონში მტრის ზურგთ უკან მოქმედებს 15 პოლკისაგან შემდგარი პარტიზანების კორპუსი. ბარნაულის მიმართულებით ჩვენ მდ. ოროსუკს უახლოვდებით. კაინსკის აიონში, რკინის გზის სამხრეთით ჩვენი შეტევა გრძელდება. ციმბირის მაგისტრალზე კაინსკის ჩრდილო-დასავლეთით 50 ვერსზე ჩვენ სოფლები ავიღეთ.

ლიონი. დეკ. 4. ჩერნოგორიის ყოფილი მეფე ნიკოლოზი ჩერნოგორიის ანექსიაში და ტახტის ხელში ჩაგდებაში ბრალს სდებს თავის შვილის შვილს. ამ ჟამად ჩერნოგორიაში აჯანყებაა. ნიკოლოზის მომხრეები სცდილობენ სერბიელების განდევნას და მონარქიის აღდგენას.

ხარატოვი. 3 დეკ. დენიკინის ტყვეობიდან გამოქცეული წითელი ჯარისკაცები გადმოგვცემენ, თუ როგორ აბამენ ეზოში ნახევრად მშიერ ტყვეებს, აიძულებენ სიბინძურეს ლოკვა მოლეულებს, სცემენ შოლტებით ტყვეებს, ქუჩაში ერეკებიან. მათ ზურგზე აწერიათ: „სიკვდილი ლენინის და ტროცკის დამცველებს“.

ბრიანსკი. 1 დეკ. როსტოვის გაზეთებში იბეჭდება მცირე აზიაში ინგლისელებსა და ოსმალეთის ჯარს შორის მომხდარ შეტაკების შესახებ. მესოპოტამიაში არაბების ტომებსა და ინგლისელებს შორისაც მოხდა შეტაკება. ხარკოვის თეთრ გვარდიელთა გაზეთი იუწყება, რომ იაპონიის პრესა ძლიერ აღელვებულია ამერიკის მიერ კამჩატკის დაჭერით.

ფსკოვი. 2 დეკ. მოკავშირეებმა პრინციპიალურად გადასწყვიტეს ლატვიათა ორი ციმბირის პოლკი სამშობლოში გაგზავნონ.

### ფრანგული პრესის ცნობები

მხატვარი რენუარი გარდაიცვალა.

ავსტრიის კაბინეტმა გადასწყვიტა მოკავშირეთა წარმომადგენლებს მიმართოს თხოვნით, რათა მათ თავის სახელმწიფოებს დაუხატონ სურათი საზავო კონფერენციაზე და მოუწოდონ მათ დაეხმარონ ავსტრიას.

დეპუტატთა პალატაში ტრევესმა განაცხადა, რომ შრომის კონფედერაციის გამგეობამ, სოციალისტური პარტიების ლიდერებმა, პარლამენტის სოციალისტურმა წრემ გადასწყვიტა საერთო გაფიცვები დასრულებულად გამოაცხადონ.

ინდო.ჩრდილოეთის ახალი გუბერნატორი მინისტრთა მახლობელ სხდომაზე დაინიშნება. სახეში ჰყავთ სურსათის ყოფილი მინისტრი დეპუტატი ლონია.

ავიატორი პულე 29 ნოემ. რანგუნში ჩამოფრინდა, ის დაბრუნდა კალკუტიდან და გაიარა 11,253 კილომეტრი. ავსტრალიის მფრინავი როსს სმისი უფრო გვიან მოვიდა.

საფრანგეთსა და ინგლისს შორის მოლაპარაკება სწარმოებს, ინგლისის მიერ საფრანგეთის უზრუნველყოფის შესახებ (რადგან ამერიკის დახმარებას არ მოელიან) თუ საფრანგეთს რაიმე საფრთხე შეხვდება.

# ახალი ამბები

◆ **ქართული ფულის კურსი.** „კერენკებისა“ და „დონის“ ბონების ღირებულება დღითი დღე ეცემა. ქართული ფული 60 პროცენტით მეტად ფასობს ხსენებულ ფულებთან შედარებით.

◆ **ყაჩაღის დატუსაღება.** სოხუმიდან მიღებულ ცნობის თანახმად, იქ 2 დეკემბერს ოჩემჩირის გვარდიელებმა შეიპყრეს ადგილობრივი ცნობილი ყაჩაღი ნიკოლოზ ჯამათავა.

◆ **ბიბლიოთეკა სახალხო გვარდიისათვის.** სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს განზრახვა აქვს შეიძინოს გენ. პრჟევალსკის სამხედრო ბიბლიოთეკა.

◆ **პრემია სათბობ მასალის დამზოგვისათვის.** შემჩნეული იყო, რომ სათბობი მასალა ორთქლმავალებზედ მეტი იხარჯებოდა, ვინემ ნამდვილად საჭირო იყო. ამის თავიდან ასაცილებლად გზათა დეპარტამენტმა შემოიღო პრემიები, რომელსაც ღებულობენ სათბობ მასალის დამზოგვნი. პრემია გაიცა ივნისის განმავლობაში 66,680 მან. და ივლისის განმავლობაში კი 146908 მან. პრემიის ნაყოფი ასეთია: დაახლოვებით ასი ფუთით შემცირა სათბობ მასალის ხარჯი თვიურად თვითოეულ ორთქლ-მავალზედ. სულ მთელ ორთქლმავალზე ეკონომია ფულზე რომ გადავიტანოთ იქნება—ივლისის განმავლობაში ხარჯთ აღრიცხვასთან შედარებით 220,000 მანეთი, ხოლო აპრილის ხარჯთან შედარებით 1.800.000 მანეთი.

◆ **საგეოგრაფიო საზოგადოება.** განათლების სამინისტრომ მოხსენება წარუდგინა მთავრობას საქართველოს საგეოგრაფიო საზოგადოების დაარსების შესახებ.

◆ **პენსია კ. ყიფიანს.** სახ. განათლების სამინისტრომ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე დაენიშნოს პენსია თვიურად 2,000 მან. დამსახურებულ მსახიობს კ. ყიფიანს.

◆ **ფრონტისათვის.** ბათუმის ქართულმა ეროვნულმა საბჭომ საქართველოს ფრონტის დღის მომწყობ კომისიას შესწირა 6 ფუთი და 35 გირვანქა ჩაი.

◆ **ჩხარის თემში** სამაზრო მილიციამ შეიპყრო ცნობილი ყაჩაღი ალექსანდრე ყაზაიშვილი, რომელიც 3 წელია გავარდნილი იყო.

◆ **თფილისის სამაზრო ერობის** ყრილობა მოწვეულია 27 დეკემბრისათვის.

◆ **ჩამორთმეულ იარაღის ჩაბარება.** საკომენდანტო სამმართველო (აგრეთვე გარნიზონის უფროსის კანცელარია) სადაც უნდა ჩაბარდეს ჩამორთმეული იარაღი, მოთავსებულია: სადარაჯო ათასეულის სადგომში, ყაზარმებში (კუკიის სასაფლაოს მახლობლად) ტელეფ. №№ 1—44 და 7—00.

◆ **სახელმწიფო თეატრში.** დღეს, ვოლ-ლევიცკაიას, როგაჩევსკის, საბინინის და ქარცივაძის მონაწილეობით მუშებისათვის წარმოდგენილ იქნება „ფაუსტი“, კვირას, დილით საბავშვო ოპერა, საღამოთი „პიკის ქალი“. ორშაბათს, 8 დეკემბერს „არტისტის დღეა“, სამშაბათს, 9 დეკემბერს „რიგოლეტო“, 10 დეკემბერს წინა პავლეს ასულის ვოშიცის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება „ევგენი ონეგინი“, 11 დეკემბერს პირველათ დაიდგმის ვიქტორ დოლიძის ახალი, ქართული ორიგინალური კომიკური ოპერა „ქეთო და კოტე“.

◆ **სახალხო სახლი.** დღეს, საღამოს ქართ. წარმ. მმართველი წრის მიერ წარმოდგენილი იქნება „ლაქია“ ტრაგი-კომედია 3 მოქ. თარგ. კ. ხახანაშვილისა, „ჭკუისა მჭირს“ კომ 1 მოქმ. ას. ცაგარლისა. ადგილების ფასი სახალხოა. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

◆ **სახალხო უნივერსიტეტი.** დღეს, საღამოს 6 საათზე, ცენტრალურ განყოფილებაში (პლეხანოვის პრ. 123), დანიშნულია მორიგი ლექციები: 1) მ. შალამბერიძისა „ქიმია“, 2) გ. ნათაძე „საქართველოს სახელმწიფოს წამოშობის უძველესი ისტორია“.

◆ **„თქმულება შოთა რუსთაველზე“**, რომელიც დანიშნული იყო სახალხო სახლში 8 დეკემბრისათვის, კომპოზიტორ ნ. სულხანიშვილის გარდაცვალების გამო, მგლოვიარობის ნიშნად, გადაიდო სხვა დროისთვის.

### კრებები

კვირას, 7 დეკემბერს დილის 10 ს. შესდგება პურზე მომუშავე მუშათა დელეგატების კრება. სთხოვენ ყოველი ფურნიდან თითო წარმომადგენლის დასწრებას (რუსთაველის პრ. № 17, სახ. არამიანცისა). ამავე დღეს, ამავე ბინაზე დილის 10 ს. პურზე მომუშავეთა კავშირი იწვევს საკანდიტატო საბულკეთა მუშების კრებას. დაჟინებით სთხოვენ ამხანაგებს აუცილებლათ დასწრონ.

— დღეს საღამოს 5 ს. ცენტრალური კომიტეტის ბინაზე დანიშნულია საქარ. ახ. მარქსისტთა ორგ. საცენტრალო კომისიის სხდომა.

— კვირას, 7 დეკემბერს, დილის ათ საათზე დანიშნულია სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კოოპერატივის „ჩვენი ოჯახის“ წევრთა არა ჩვეულებრივი კრება.

— კვირას, 14 ქრისტეშობისთვის დილის 11 საათზე „შევარდნის“ საზოგადოების შენობაში დანიშნულია ამ საზოგადოების არა ჩვეულებრივი კრება.

— 7 დეკემბერს, საღამოს 3 საათზე ქალაქის თვითმართველობის საბჭოს დარბაზში დანიშნულია თვითმართველობის მოსამსახურეთა კავშირის სადელეგატო საბჭოს მორიგი სხდომა.

# ბრძანება

რესპუბლიკის მთავრობისა შინაგან საქმეთა და სამხედრო უწყებათა მიმართ.

№ 215. 28 ნოემბ. 1919 წ. თფილისი.

ვაცხადებ ცნობათ და შესასრულებლად:

ყველა რესპუბლიკის ქვეშევრდომი აფიცრები, სამხედრო ექიმები და სამხედრო მოხელეები, რომელნიც დღეს არ მსახურობენ ჯარის ნაწილებში, დაწესებულებებში და სამმართველოებში ან არ არიან გადარიცხული გადამდგარ ყოფაში, ვალდებულნი არიან ერთი თვის განმავლობაში გამოცხადდენ სამსახურის ნუსხებით თავიანთ მაზრის სამხედრო აღრიცხვის ნაწილის უფროსთან და მიიღონ ამ უკანასკნელიდან აღრიცხვაზე მიღების მოწმობა. ის აფიცრები, სამხედრო ექიმები და სამხედრო მოხელეები, რომლებიც არ გამოცხადდებიან და არ აიღებენ აღრიცხვაზე მიღების მოწმობას, მობილიზაციის ან სასინჯ გაწვევის დროს იქნებიან გაწვეულნი როგორც ჯარისკაცნი, ვინაიდან სამხედრო აღრიცხვის უფროსს მათზე შესაფერი ცნობები არ ექნება.

ეს ბრძანება შედის ძალაში დღიდან პრესაში გამოცხადებისა.

შინაგან საქმეთა და სამხედრო მინისტრი ნ. რამიშვილი.

# იუსტიციის სამინისტროში

**გემ „მარიას“ გაძარცვის საქმე.** გემ. „მარიას“ გაძარცვის საქმის გამოძიება დაამთავრა ქუთაისის ოლქის სასამართლოს საგანგებო საქმეთა გამომძიებელმა დევიძემ. მთავრობის დადგენილებით, საქმე გადაეცემა გასარჩევად რესპუბლიკის ჯარების სამხედრო სასამართლოს.

**დაფა წარწერები მომრიგებელ მოსამართლეთა კამერებისათვის.** იუსტიციის სამინისტრომ წინადადება მისცა ქ. თფილისის სამომრიგებლო ყრილობის თავმჯდომარეს, რათა ქ. თფილისის ყველა მომრიგებელ მოსამართლეთა კამერებისათვის შეკვეთილი იყოს დეკემბრის 15 მდე დაფა წარწერები („ვივესკები“) სახელმწიფო ენაზე და სახელმწიფო ღერბით.

**სამომრიგებლო უბნების მომწესრიგებისათვის.** რადგან იუსტიციის სამინისტროს ცნობით ზოგიერთი მომრიგებელი მოსამართლენი ნებადაურთველად სტოვებენ თავთავიანთ უბნებს, სამინისტრომ ცირკულიარული განკარგულება გაუგზავნა ყველა სამომრიგებლო ყრილობათა თავჯდომარეებს, რათა მათ გამოუცხადონ სათანადო ოლქების მომრიგებელ მოსამართლეთ, რომ მათ უფლება არა აქვთ კანონიერ ნებართვის გარეშე, თუნდ ერთის დღითაც მიატოვონ თავისი უბანი და რომ ამ განკარგულების დამრღვევთა წინააღმდეგ მიღებული იქნება უსასტიკესი ზომები.

**თურქიაშვილის და სხვათა საქმე.** გზათა სამინისტროს ავტომობილების სარეგისტრაციო განყოფილების გამგის თურქიაშვილის და სხვათა საქმე, რომელთაც ჰბრალდებათ ქრთამის აღება, გამოძიებით დამთავრდა საგანგებო საქმეთა გამომძიებლის ვლ. დოლევსკის მიერ და გადაეცა პროკურორის ნაწილს ბრალდების ოქმის შესადგენად. საქმე გაირჩევა თფილისის საგანგებო სასამართლოში.

**სამხედრო სასამართლოში.** ოთხშაბათს, დეკემბრის 3 ს, იუსტიციის დეპარტამენტის მმართველი გ. თ. ჟორდანია, სასამართლოს პალატის პროკურორი მ. ა. ტატიშვილთან ერთად ეწვია რესპუბლიკის ჯარების სამხედრო სასამართლოს, რომელიც დამფუძნებელ კრების დეკრეტით გადავიდა იუსტიციის უწყებაში.

**გამომძიებელთა კამერების საქმიანობის გაცნობისათვის.** იუსტიციის სამინისტროს დავალებით, თფილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის ამხანაგმა ი. ლ. კურმანოვიჩმა შეადგინა დაწვრილებითი საანკეტო ფურცელი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ თფ. ოლქის სასამართლოს წევრებმა გამომძიებელთა კამერების საქმიანობის გაცნობის დროს. საანკეტო ფურცლის ნიმუშები ეგზავნებათ სამინისტროს მიერ აგრეთვე ქუთაისის და სოხუმის ოლქის სასამართლოებს.

**პეტრე ზუმბაძის საქმე.** დეკემბრის 19 ს თფილისის ოლქის სასამართლოს მეორე სისხლის სამართლის განყოფილებაში დანიშნულია განსახილველად საქმე სახელმწიფო კონტროლიორის ყოფილ მდივნის პეტრე იოს. ზუმბაძისა, რომელსაც ჰბრალდება სახელმწიფო კონტროლის კასიდან ა. წ. თებ. 1 ს. 51,528 მ. 6. მოპარვა. სასამართლოში მოწმებად დაბარებულნი არიან, სხვათა შორის, სახელმწიფო კონტროლიორი ფ. გ. გოგიჩაიშვილი, კონტროლიორის კანცელარიის დირექტორი ი. ა. სმირნოვი და სხვ. ბრალდებული დაპატიმრებულია.

# ნიხრი

**თფილისის ქალაქის გამგეობამ ნოემბრის 27 დაამტკიცა შემდეგი ნიხრი:**

ლობიო წითელი—5 მან. გირვანქა, [illegible]—6 მან გირვანქ., ხახვი ფუთი—80 მან., გრ.—2 მ. 50 კ., კარტოფილი ფუთი 110 მ., გირ. 3 მან., 50 კ.; ნახშირი ხისა ფუთი 42 მან., ფუთი 38 მან. (ბითუმათ); რძე—5 მან. (კრუჟკა), მარილი—40 მან., ფუთი, დაფქვილი 60 მან ფუთი, დაფქვილი 1 მან. 50 კაპ. გირვანქა, ქონი—25 მან. საქონლის 30 მან. დუმის. ღორის ხორცი უძვლო—15 მ., კანით—16 მან., ბითუმათ 30 მან., ფუთი. თავის ხორცი—8 მ., გირვ. ღორის ქონი დაუდნობელი—35 მ., გრ. კომბოსტო—1 მ. 60 კ. გირ., 60 მ. ფუთი

**სურსათის განაწილება.**

ოქტომბრის განმავლობაში თფილისის ქალაქის გამგეობის სურსათის განყოფილების მოქმედება გამოიხატება შემდეგში:

ოქტომბერში სასურსათო განყოფ. ჰქონდა სულ საქონელი 13,286,200 მან., აქედან პირველ ოქტომბერში იყო საწყობებში 5,512,691 მ. 6. საქონელი და ოქტომბერში შემოვიდა 7,773,509 მან. 1 ლ ნოემბერს დარჩენილი საქონელი იყო 8,496,176 მ. ოქტომბერში განყოფილებამ სულ დაარიგა სურსათი 5,558,673 მან. ფაქტიურათ 6 მილიონამდე არის. მხოლოდ ჯერ ზოგი ანგარიშები არ არის შედგენილი ოქტომბრის განმავლობაში დარიგდა სურსათი: 25,100 ფ. პური, 950 ფ. კარტოფილი, 850 ფ. მარცვლ. 2,500 ფ მარილი, 600 ფ. შაქარი, 8,627 ფუთი ნავთი, 2,354 ფ. ნახშირი, 3,500 ფუთი თივა 300 ფ. საპონი და სხვ.

სურსათი ნაწილდებოდა უმეტეს ნაწილათ ღარიბ მცხოვრებთა შორის და განსაკუთრებით ქ. თფ. მუშათა და მოსამსახურეთა შორის

განაწილებულია ოქტომბრის განმავლობაში: ქალაქის დაწესებულებებს და ქალაქის გამგეობის მუშა მოსამსახურეებს: პური—6000 ფუთი (23,9 პროც.) ნავთი 742 ფუთი (8,6 პროც.) სულ სურსათი—1,820,000 მ (32,74 პროც.) სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებათა მოსამსახურეებს პური—12,000 ფ. (47,8 პროც.) ნავთი—2,241 ფ. (26 პროც.) სულ სურსათი—1,816 ათასი მ. (32,66 პროც.); სულ ქ. თფილისის მოსამსახურესა და მუშებს: პური—71,7 პროც., ნავთი—34,6 პროც., სულ სურსათი—65,4 პროც., დანარჩენ მცხოვრებთ სარაიონო და სახლის კომიტეტის საშუალებით: პური—7,100 ფ. (28,3 პროც.) ნავთი—3 644 ფ (65,4 პროც.), სულ სურსათი—1,924,000 მ. (34,6 პროც.), ეს ნუსხა გვიჩვენებს, რომ უმთავრესი ყურადღება მიქცეულია მოსამსახურეებსა და მუშებზე; ამ კატეგორიას მიეცა მთელი სურსათის 2 მეს. განყოფილების მუშაობაზე წარმოდგენას გვაძლევს აგრეთვე სურსათის რაოდენობის გადმოზიდვა. აგვისტ. გადმოზიდულია 37,025 ფ. 15 ერთი მეოთხ. გირ., სექტემბერში—31,466 ფ. 09 ნახევარი ფ., ოქტომბერში—97,668 ფ. 39 და სამი მეოთხედი გ. სულ 3 თვეში 166 160 ფ. 34 ნ ხ. გ., იმ დროს, როდესაც წასულ 7 თვეში გადმოზიდულია 161,533 ფ. 08 სამი მეოთხედი გირ.

# უცხოეთი

### რ უ ს ე თ ი.

**შეთქმულება.** ქალ. ხერსონში აღმოაჩინეს პეტლიურას მომხრეების მიერ მოწყობილი შეთქმულება დენიკინის წინააღმდეგ. შეთქმულებს აღმოაჩნდა თ ბომბები, იარაღი, სტამბა, პროკლამაციები. დაიჭირეს 8 კაცი; ამათში ერთი კომუნისტი იყო, დანარჩენი პეტლიურას აგენტები. შეთქმულობის მიზანი ყოფილა გაენთავისუფლებინათ ციხეებიდან დაპატიმრებულნი, მოეწყოთ 19 ნოემბერს საერთო გამოსვლა და გამოეცხადებინათ უკრაინის სოციალისტური რესპუბლიკა.

**დაპატიმრებულთა ბედი.** 25 ნოემბერს ყუბანის რადის სხდომაზე გამოქვეყნებულ იქნა გენ. პოკროვსკის დეპეშა გენ. უსპენსკისადმი, სადაც ნათქვამია, რომ გენ. დენიკინის ბრძანების თანახმათ რადის დაპატიმრებულ 11 წევრს ენიჭება სიცოცხლე, მიუხედავათ იმისა, როგორ დადგენილებასაც გამოიტანს სამხედრო საველე სასამართლო; აღნიშნულმა პირებმა აუცილებლათ უნდა დასტოვონ რუსეთის საზღვრები.

**აფიცრებიც დეზერტირობენ.** გენ. მაი-მაევსკიმ შემდეგი ბრძანება გასცა აფიცრებთა საყურადღებოთ: მაშინ, როდესაც ჯარი უკანასკნელ ძალას იკრებს ფრონტზე სამშობლოს დასაცავათ,—ბევრი აფიცრები ზურგში მოკალათებულან სხვად სხვა მოწმობებით და დაუშვებელ განცხრომას მისცემიან. ვუბრძანებ ასეთ აფიცრებს მოიგონონ თავიანთი მოვალეობა სამშობლოს მიმართ და მიაშურონ ფრონტს. ვინც ამ ბრძანებას 24 საათის განმავლობაში არ შეასრულებს,—ჩაითვლება დეზერტირათ და დასჯილი იქნება სიკვდილით.

### გ ე რ მ ა ნ ი ა.

**ნოსკეს პასუხი** მემარცხენე დამოუკიდებლები ცხარე კამპანიას აწარმოებენ ნოსკეს წინააღმდეგ, რომელმაც განსაკუთრებული ზომები მიიღო გაფიცულთა წინააღმდეგ. ამის გამო მინისტრმა ნოსკემ ეროვნულ კრების სხდომაზე შემდეგი განაცხადა: „აქ საქმე იმას კი არ ეხებოდა,—მთავრობა წინააღმდეგია კრებებისა და კავშირების,—თუ არა; გაფიცვას აქ მოყვებოდა ფაბრიკებისა და ქარხნების გაჩერება და 10.000 მუშის უალაგოთ დატოვება, რომელთაც სრულებითაც არ უნდოდათ გაფიცვა. ახალ კიოლნში, ბერლინში, შპანდაუში მუშები აუტანელ პირობებში მოემწყვდენ და ისინი თვითონ გვთხოვდენ მიგვეღო ზომები მათი დამოუკიდებელთა ხელიდან განსათავისუფლებლათ. ჩვენ არ დავიხევთ არავითარ ზომის წინაშე, რომელიც დაიცავს მასას ერთ მუჭა ტერორისტებისაგანო“ განაცხადა ნოსკემ.

**კრუპპის ქარხანა.** კრუპპის ქარხანა ეხლა უკვე არ ამზადებს სამხედრო მასალებს: ქარხანაში მზადდება სასოფლო სამეურნეო მანქანები რუსეთისათვის. ამავე მიზნის მისაღწევათ კრუპპის ფირმამ კავშირი დაიკავა მანქანების დამმზადებელ დიდ კომპანია—„ზავარიასთან“. ფირმა მუშაობს მანქანების გერმანიის სხვადასხვა ქალაქებში გაყიდვის მოსაწყობათ და აგრეთვე აარსებს უცხოეთში თავის სააგენტოებს.

### შ ვ ე ც ი ა.

**ბოლშევიზმის წინააღმდეგ.** სტოკჰოლმში გამართულ გრანდიოზულ მუშათა მიტინგზე, რომელსაც დაესწრნენ სოც.-დემოკრატიულ პარტიისა და მემარცხენეთა წარმომადგენელნი,—ბრანტინგმა წარმოსთქვა გრძელი სიტყვა „დემოკრატიისა და დიქტატურის“ შესახებ, რომელშიც სასტიკათ გაილაშქრა ბოლშევიზმის წინააღმდეგ. მიტინგმა დიდი უმრავლესობით გამოიტანა ბოლშევიზმის საწინააღმდეგო რეზოლუცია.

### ა ვ ს ტ რ ი ა.

**დამოკიდებულება გერმანიასთან.** ავსტრიის დამოუკიდებელ სახელმწიფოთ აღიარების შესახებ მთავრობის კანონპროექტის გარჩევის დროს ფრაქციათა წარმომადგენლებმა ის აზრი გამოსთქვეს, რომ საზავო ხელშეკრულების ასეთი მოთხოვნილება, რომელიც მშობელ გერმანიასთან ყოველგვარ დამოკიდებულების შეწყვეტას მოასწავებს, ყველაზე უფრო ცუდ გავლენას მოახდენს ავსტრიელთა ცხოვრებაზე. სოც. დემ. აუსტერლიცმა განაცხადა: გერმანიიდან ჩამოშორება ჩვენ დაგვღუპავს. გერმანიასთან შეერთების იდეას ჩვენ ვერ დავსთმობთ. გაერთიანება საჭიროა არა მარტო მთელ გერმანულ ხალხისათვის, არამედ მთელ ევროპის საკეთილდღეოთაც. აუსტერლიცი იმედს გამოსთქვამს, რომ მუშათა ინტერნაციონალი მორალურ გავლენას მოახდენს დღევანდელ ბატონების გადაწყვეტილებაზე და შესძლებს გააბათილოს იმპერიალიზმის გამარჯვების დამღუპველი შედეგები.

**მონარქისტული შეთქმულობა.** ციურიხიდან ფრანგულ გაზეთებს ატყობინებენ, რომ იქ აღმოჩენილია შეთქმულობა, რომელშიაც მონაწილეობა მიუღია ავსტრიის ყოფილ იმპერატორს კარლოსს და რომელსაც მიზნათ ჰქონებია ავსტრო-უნგრეთში მონარქიის აღდგენა. შეთქმულობის მონაწილენი დაუპატიმრებიათ.

### ი ნ გ ლ ი ს ი.

**საერთაშორისო ზომები.** როტერდამის ერთ-ერთი გაზეთი ძლიერ დაწვრილებით ცნობებს ლონდონში მომხდარ ფარულ ყრილობის შესახებ, რომელსაც მიზნათ ჰქონდა დასახული გამოემუშავებიათ მოსალოდნელ საერთაშორისო შიმშილობის საწინააღმდეგო ზომები. განხილულ იქნა საერთაშორისო სამეურნეო საბჭოს შექმნის პროექტი, რომელმაც უნდა იკისროს ნახშირის, სურსათ-სანოვაგისა და ნედლი მასალის ხალხთა შორის განაწილება. ყრილობამ სხვათა შორის შემდეგი რეზოლუციები გამოიტანა: 1) მთელი კულტურული ქვეყანა შიმშილის აჩრდილის წინაშე სდგას, რაც საზავო პირობების ზოგიერთ ნაწილების ნაკლულევანების შედეგათ უნდა ჩაითვალოს. ეს პირობები დაუყოვნებლივ გადასინჯულ უნდა იქნეს; 2) მთელი ქვეყნის საწარმოო ძალთა რეორგანიზაცია შეუძლებელია მოხდეს მანამდე, სანამ არ მომხდარა რუსეთის ეკონომიური აღორძინება, რომელსაც შეუძლია მაწოდოს ქვეყანას აუარებელი სურსათი და ნედლი მასალა.

**იაპონია და ინგლისი.** ტოკიოდან მოსულ ცნობების თანახმად იაპონიის მთავრობას განზრახვა აქვს მოლაპარაკება დაიწყოს დიდი ბრიტანეთის მთავრობასთან. მოლაპარაკების მიზანია აღდგენა ინგლის იაპონიის კავშირისა.

# ს.-დ. პარტიაში

**ს. ს. დ. მ. პ. სიღნაღის მაზრის ორგანიზაციების წარმომადგენელთა ყრილობა.**

20 ნოემბერს ქ. სიღნაღში გაიხსნა ს. დ. ორგანიზაციების მორიგი ყრილობა. დაესწრო მას 24 ორგანიზაციის წარმომადგენლები, რიცხვით 43 დელეგატი. ყრილობას ხსნის სამაზრო კომიტეტის წევრი ამხ. ლ. დავითაია, მისი წინადადებით კრება უდგება პრეზიდიუმის არჩევნებს. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ ის. მალანია, მის ამხანაგათ არ. თოფურიძე, მდივნებათ გრ. კანკავა და ივ. კოკაია. თავმჯდომარე ხსნის კრებასა და ესალმება მას. მოკლეთ აღნიშნა მან ჩვენი პარტიის დიდი ღვაწლი და მისი როლი, თანამედროვე რთულს და მეტად საპასუხისმგებლო პირობებში. უსურვა ყრილობას, რომ მან განაგრძოს მხნეთ მუშაობა, საქართველოს დემოკრატიის და საერთაშორისო დემოკრატიის გამარჯვებაში შეიტანოს თავისი წვლილი. მისივე წინადადებით ყრილობა ესალმება ს. ს. დ. მ. პ. ცენტრალურ კომიტეტს, საქ. დამფუძნებელი კრების ს. დ. ფრაქციას, მთავრობას და მთავრობის მეთაურს ნოე ჟორდანიას და სახალხო გვარდიას. შემდეგ ყრილობა უდგება დღიურ წესრიგის მუხლობრივ განხილვას. მოსმენილ იქნა მოხსენება სამაზრო კომიტეტისა მის მუშაობა მოქმედების შესახებ. მოხსენებას აკეთებს კომიტეტის წევრი ა. ანჯაფარიძე. ადგილობრივათ სამაზრო კომიტეტი საერთო პოლიტიკაში იდგა ჩვენი პარტიისა და ცენტრალურ კომიტეტის ერთგულ პოზიციაზე. ყოველ დადგენილებას საერთოდ ჩვენი პარტიისა ადგილობრივი კომიტეტი ატარებდა შეძლების დაგვარათ. რესპუბლიკის თავდაცვის საქმეში სამაზრო ორგანიზაციასაც მიუძღვის მცირეოდენი ღვაწლი, მობილიზაციის საქმეებში ის აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა. ამ სფეროში ის მუშაობდა უმთავრესათ. იდეურათ კიდევაც სიღნაღის მაზრამ სათანადოთ შეასრულა თავისი როლი რესპუბლიკას მისცა საკმაო რეალური ძალა ჯარის და გვარდიის სახით. შინაურ—საერთო პოლიტიკაშიც სამაზრო კომიტეტი სავსებით ადგა დემოკრატიზმის განმტკიცების გზას: ყოველ ანტიდემოკრატიულ მოვლენას სხვადასხვა სახით ის ებრძოდა მთელი თავისი არსებით, იდეურათ, აგიტაციით, ორგანიზაციებით, და სხვა საშუალებითაც. ამ მუშაობამ შედეგიც გამოიტანა. მაზრაში ანარქიულ გამოსვლებს ადგილი არა აქვს. მოწინააღმდეგეთა ორგანიზაციული ძალა დანგრეულია. ის მაინც და მაინც დიდ საფრთხეს არ წარმოადგენს ფართე მასაც შედარებით გამორკვეულია და მასში ძნელათ თუ მოიპოვებს რაიმე გავლენას ანარქიული მიდრეკილება. პარტიულ სფეროში კომიტეტი იდგა თავის სიმაღლეზე. ყოველ საზოგადოებაში აგზავნიდა თვეში ერთხელ თითო პასუხისმგებელ ამხანაგებს. სოფლათ იმართებოდა პარტიული კრებები, მასიური კრებებიც. მოწყობილია მაზრაში კომიტეტის მუშაობით 28 ს. დ. ორგანიზაცია თავის კოლექტივებით. კომიტეტის სურვილი იყო მუდმივი პროპაგანდისტთა კოლეგიის დაარსება. მაგრამ მუდმივ მომუშავე როცა მან ვერ იშოვა, ამისთვის ის სარგებლობდა შემთხვევით პასუხისმგებელ ამხანაგებით. მოიწვია თფილისიდან რამდენიმეჯერ დამფუძნებელი კრების წევრებიც, რომლებმაც მიმოიარეს მაზრა და უმთავრეს კითხვებზე მოხსენებები გაკეთებულ იქნა როგორც ორგანიზაციაში, ისე ფართე მასაში. საერთოდ როგორც პარტიული, ისე დემოკრატიული მასა დროზე იყო გათვითცნობიერებული ამა თუ იმ საყურადღებო კითხვებზე. კომიტეტმა ამას გარდა მაზრაში ჩაატარა სამი საარჩევნო კამპანია: წვრ. საერობო ერთეულების, დამფ. კრების და საქალაქო. სამივე შემთხვევაში კომიტეტმა ფეხზე დააყენა მთელი მაზრის პარტიული ძალები და შედეგი ჩვენმა პარტიამ მაზრაში მიიღო 85—90 პროცენტი. მთელი დემოკრატიული მასა აღმოჩნდა ჩვენი პარტიული დროშის ქვეშ.

კომიტეტმა მოაწყო რამდენიმე საერთო გამოსვლები: გვარდიის დღე, 15 მარტი, 1 მაისობა, 26 მაისი და ფრონტის დღე. ამ გამოსვლებში უმთავრესი ხელმძღვანელი იყო სამაზრო ორგანიზაცია და კიდევაც ამ გამოსვლებმაც დაამტკიცა ჩვენი პარტიის სიძლიერე გავლენა. ხალხი უფრო დაუკავშირდა ამ დიადი დღეების დიად მნიშვნელობას.

ყრილობამ მოისმინა ეს მოხსენება, მოიწონა კომიტეტის მიერ გადადგმული ნაბიჯები. ის ავალებს კომიტეტს მეტის ენერგიით მუშაობას, უფრო დაახლოვებას—მჭიდროდ ორგანიზაციებით სისტემატიურ მუშაობისა და დადებითი მუშაობის წარმოებას ორგანიზაციებში. კომიტეტის ხარჯთ აღრიცხვაზე მოხსენებას აკეთებს კომ. წევრი დ. ქობალია:

მოხსენების და სარევიზიო კომისიის დასკვნით ანგარიში ასეთია: 1918 წ. 30 ოქტომბრიდან ამ წლის 20 ნოემბ-

რამდის შემოსავალი ყოფილა: 1) სხვა და სხვა ორგანიზაციებიდან საწევრო გადასახადი 12032 მან. 75 კ., 2) შემოწირულება სხვადასხვა დაწესებულებებიდან და პირებიდან 18,831 მანეთი, 3) ნესხათ გაცემული კომიტეტის მიერ (დაბრუნებული) 8,700 მან.. 4) დამფ. კრების საარჩევნო ფონდისათვის 16557 მან. 50 კაპ. გასული წლის დარჩენილი ნაშთი 3241 მან. 70 კაპ. ერთიანი ჯამი 59382 მან. 75 კაპ.

აქედან გასავალი აღმოჩნდა: 1) საკანცელარიო ხარჯები 6409 მან., 2) პროპაგანდისტების სამგზავრო და ჯამაგირები 34 232 მან. 81 კაპ., 3) ნესხათ გაცემული 10,450 მან., 4) ცენტრალური კომიტეტზე გაგზავნილი საწევრო გადასახადებიდან პროცენტები 943 მან. 50 კაპ. 5) დახმარება პარტიულ ამხ. 1035 მან., 6) დეპეშების გაგზავნა სხვადასხვა ადგილას 219 მან. 50 კაპ. ერთიანი ჯამი 53,189 მ. 61 კ.

ამ რიგათ კასაში რჩება 1919 წლის 20 ნოემბრისათვის 6193 მან. 14 კაპ.

სამაზრო ერობის მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ის. მალანია. მოხსენებით ყრილობა კმაყოფილი დარჩა. მისი სიტყვით მომავალ 6 დეკემბერს მოხდება სამაზრო ერობის ხმოსანთა ყრილობა, სადაც უფრო გარკვეულად იქნება მოხსენება გაკეთებული ჩვენი ამხანაგების მუშაობის შესახებ.

საოლქო შტაბის გვარდიის სახელით მოხსენებას აკეთებს ქ. როგავა. როგორც მოხსენებებიდან ირკვევა. საოლ. შტაბს ბევრი რამ გაუკეთებია გვარდიის ორგანიზ. მოწესრიგება-მოგვარებაში. მის განკარგულებაში შედიან სარაიონო შტაბები, როგორიც არიან: აბაშის, ზუგდიდის, წალენჯიხის და ბანძის. შტაბს გვარდიის ნაწილები გაუგზავნია ახალციხის და სოჩის ფრონტებზე. ადგილობრივი ადმინისტრაციასთან შეთანხმებით და დაუღალავად მუშაობს მოქალაქობრივი ცხოვრების განსამტკიცებლად—აგრეთვე მომხსენებელმა აღნიშნა გვარდიის გაწმენდა არა სასურველი ელემენტებისაგან და გასული ხარჯები. მოხსენებებით ყრილობა კმაყოფილი დარჩა. შემდეგ ამხ. დელეგატები აკეთებენ მოხსენებას ადგილებიდან. მოხსენებებიდან სჩანს, რომ ორგანიზაციების მომქმედი ძალები ჩაბმულია სახელმწიფოებრივ დაწესებულებებში, რისთვისაც პარტიული მუშაობა მისუსტდა. მათი აზრით, საფრთხის თავიდან ასაცილებლად საჭიროა გაბედული ნაბიჯების გადადგმა, რაც უნდა გამოიხატებოდეს, მეტის ენერგიით და ყურადღებით საკუთარი ოჯახის შენება და მისი მტკიცე საძირკველზე აგება. ამ მიზნის დაგვირგვინებას უშლის ხელს ინტელიგენტური ძალების სწრაფვა ცენტრისაკენ და პერიფერიების მიტოვება უყურადღებოდ. საერთო მოხსენებიდან სჩანს, რომ მასსა ჩვენსკენ არის, მიუხედავად ათასგვარი ჭორების და პროვოკაციისა. ორგანიზაციებში ყველგან სწარმოებს წევრთა რეგისტრაცია. უკანასკნელ დროს ორგანიზაციებს გამოცოცხლება ეტყობა და ის გაძლიერების და გაფურჩქვნის პროცესს განიცდის.

შემდეგ მოხსენება გააკეთა ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ ამხ. მ. ხოჟოლავამ. კრებამ მოისმინა რა მოხსენება, მოიწონა ცენტრალური კომიტეტის ნაბიჯები. ამხ. გრ. ლორთქიფანიძემ გააცნო ყრილობას ცენტრ. კომიტეტის გეგმა პარტიულ მუშაობის გაფართოების შესახებ. ყრილობის აზრით მუშაობა ამ მხრივ წარმოადგენს აუცილებელ საჭიროებას და მიმართავს ცენტრ კომიტეტს საჩქაროდ შეუდგეს ამ გეგმის განხორციელებას.

ორგანიზაციული კითხვების შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ანდრო ანჯაფარიძე. შესავალ სიტყვაში ის ასაბუთებს პარტიულ მუშაობის მოდუნებას, მის ნაკლულოვანებებს და მიუთითებს იმ ზომებზე, რომელიც მიღებული უნდა იქნას პარტიული მუშაობის გასაცხოველებლად. კითხულობს კომიტეტის მიერ შემუშავებულ სახელმძღვანელო ინსტრუქციას, რომელიც მცირე შესწორებით ყრილობის მიერ დამტკიცებული იქნა. ბოლოს ხდება სამაზრო კომიტეტის და სარევიზიო კომისიის არჩევნები. კომიტეტში არჩეულ იქნენ: აკაკი ფიჩხაია, ისიდორე მალანია, ანდრო ანჯაფარიძე, გრ. კანკავა, ივანე კოკაია, დავით ქობალავა და კაპიტონ ანჯაფარიძე. სარევიზიო კომისიაში: ერასტო ზესულია, ვანო ჩიქოვანი და სიმონ მელია. ამით ყრილობამ დღიური კითხვები ამოსწურა.

დღიურ წესრიგის ამოწურის შემდეგ ყრილობამ მოისმინა ამხ. გრ. ლორთქიფანიძის მოხსენება: „სოციალისტური რევოლიუცია და რუსული კომუნიზმი“ მოხსენებამ ბევრი ახალი აზრები შემატა პროვინციელ ამხანაგებს და სასურველია ასეთი მოხსენებები ცენტრის პასუხისმგებელ ამხანაგების მიერ კეთდებოდეს ხშირათ და სისტემატიურათ.

ივლიანე.

# მუშათა შორის

**მუშის წერილი** (სახელმწიფო თეატრი). უნდა გამოვსთქვა ის აღტაცება, რომელსაც განვიცდით ჩვენ, მუშები, იმ ოპერებზე, რომლებსაც სდგამენ მუშებისთვის შაბათობით სახელმწიფო თეატრში.

ამ წარმოდგენებზე მსმენელთ სახე უბრწყინავს, ყველა გრძნობს წმინდა სიხარულს. ავიწყდებათ სიმშილი და ის სიძვირე, რომელიც დასწოლია მუშებს, როგორც მაჯლაჯუნა და სულს უხუთავს.

მე ბევრჯერ ვყოფილვარ ოპერაზე, მაგრამ ამისთანა სიამოვნება არ მიგრძვნია, იმიტომ, რომ იქ სუყველა უცხოები იყვნენ და ჩემ თავს ვგრძნობდი განდეგილად.

მეტად სასარგებლო და საინტერესოა, როდესაც ბატონი ფოცხვერაშვილი გვიხსნის ოპერის შინაარს, ვინაიდან ისე ჩვენ, მუშებს, გვიძნელდება ოპერის შინაარსის გაგება.

როდესაც ოპერა გათავდა, გამოვედით წასასვლელად და დავინახეთ ათზე მეტი ვაგონი ტრამვაისა ჩვენ წასაყვანად. ეს მაჩვენებელია იმისა, რომ ჩვენი მთავრობა რითაც კი შეუძლია გვიწევს დახმარებას.

სასურველია, რომ ასეთივე წარმოდგენები მუშებისათვის იმართებოდეს არტისტიულ თეატრშიაც. საჭიროა ამას კავშირთა საბჭომ მიაქციოს სათანადო ყურადღება.

მე დამავალეს ენფიანჯიანცის თუთუნის ქარხნის იმ მუშებმა, რომლებიც იყვნენ წარმოდგენაზე, გადაუხადო მადლობა ქალაქის თავს ბ. ჩხიკვიშვილს და იმ მუშებს ტრამვაისას, რომლებმაც არ დაიშურეს თავიანთი შრომა ჩვენთვის.

ა. მემარნეშვილი.

— —

**პასუხად ბ. გ. ა—ბელს.** „ერთობის“ 272 №-ში მოთავსებულია გ. ა—ბელის კორესპონდენცია ბათუმიდან, სადაც, სხვათა შორის, რკინის გზელთა ცენტრალურ გამგეობას ავტორი უსაყვედურებს შემდეგს:

„არ შემიძლია არ ვუსაყვედურო რკინის გზის კავშირის ცენტრალურ გამგეობას, რომელმაც თითქოს განგებ, დეპოში საშინელ უპასუხისმგებლო პირებს მოუყარა თავი, რომელთაგან ყოველ წუთში უნდა ველოდეთ გაფიცვას და სხვ. აკი ამიტომაც არის, რომ სტეფანოვებს და მის დამქაშებს ასეთი გასავალი აქვთ მათში“.

ცენტრალური გამგეობა ამით აცხადებს, რომ ბათუმის რაიონში რკინის გზის შტატის შედგენის დროს, მან ადმინისტრაციასთან ერთად მიიღო ყოველივე ზომები, რომ ბათუმის რაიონში გაგზავნილი ყოფილიყო საეჭვო ელემენტები ჩვენი გზიდან. ახლათ სამსახურში მისაღებ პირებსაც გამგეობა ძალიან სიფრთხილით ეპყრობოდა, რომ სამსახურში მოყოლოდენ საიმედო პირები. ცენტრალურ გამგეობას კარგათ აქვს გათვალისწინებული საერთოდ ბათუმის პოლიტიკური მდგომარეობა და ისიც, თუ რა მნიშვნელობა ექნებოდა ამ ერთ მთავარ დარგში, რომელიც ჩვენი მთავრობის განკარგულებაში იყო და არის, კარგი შტატის შედგენას. მაგრამ მახინჯი ყველა ოჯახში ურევია და ასეთი მახინჯები, ჩვენდა სამწუხაროდ, გამოერივნენ ბათუმელ რკინის გზელებშიც, რომლებიც სწამლავენ ინტრიგით ატმოსფერას ასეთი ატმოსფერის შექმნას იქაურ მუშებში ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ ბათუმი მოწყვეტილია საქართველოს პოლიტიკურ ცენტრს და ჩვენი დემოკრატიული მთავრობის გავლენა იქ ვერაა საკმარისი. ამიტომაცაა, რომ სტეფანოვებს და მის ამხანაგებს აქვთ იქ გასავალი, თუმცაღა არც ისეთი, როგორც გ. ა—ბელს ჰგონია. იქ დიდი ნაწილი ჩვენი ამხანაგებისა სდგანან სწორ ხაზზე და მათ კიდევაც შეუწევთ ძალა ებრძოლონ ბათუმში შექმნილ მდგომარეობას. ეს აშკარათ დამტკიცდა იმ დროს, როცა რკინის გზელთა ერთმა ნაწილმა ჯამაგირის დროზე მიუღებლობის გამო გაფიცვა გამოაცხადა. მხოლოდ შეგნებული ამხანაგების ჩარევით იქნა ეს გაფიცვა ჩაქრობილი გამოცხადებისთანავე. და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამ შეგნებულ ამხანაგებთან ერთად ბოლოს მოვუღებთ ბათუმში შექმნილ ატმოსფერას.

რკინის გზის მუშა მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის ცენტრალური გამგეობა.

# პროვინცია

**ერუშეთი.** არტაანის ოლქის ის ნაწილი, რომელიც დღეს საქართველოს გავლენის ხაზში შემოდის და იქ ქართული ლაშქრის ნაწილები დგანან, წარმოადგენს ისტორიულ ერუშეთს, რომელიც მოფენილია საქართველოს კულტურის ძეგლებით, დაწყებული ახალციხის მაზრის საზღვრებიდან, სადაც ვარძიის მონასტერი მზღვრის არტაანს, ვიდრე არტანუჯის და ოლთისის ყელამდე, სადაც გაივლის უღელტეხილის გზა სოფ. ქინძათამარზე მთელი ეს ტერიტორია სივრცით დაახლოებით ახალციხის მაზრას არ ჩამოუვარდება, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ფოცხვის ხევს, ანუ ეხლანდელ ფოცხოვს, რომელიც რუსეთის მფლობელობის დროს მართალია შედიოდა არტაანის ოლქში, მარა ისტორიულათ ის ერუშეთს არასოდეს არ ეკუთვნოდა, ვინაიდან როგორც გეოგრაფიულათ, ისე ეკონომიურათ უფრო უახლოვდებოდა ახალციხესკენ ჯაყისმანს და ქვაბლოვანს, რაც სამცხეს ერთ უმშვენიერეს და მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა.

ისტორიულ ერუშეთს აღმოსავლეთიდან მზღვრის მტკვარი და გაგრძელება ნიალის ყურის მთებისა ჩრდილოეთიდან იგივე ნიალის ყურის მთები, ანუ ახალციხის მოსაზღვრე ქედი, დასავლეთით არსიანის მთები, რომლის გადაღმა იწყება ბათომის ოლქი, სადაც ერუშეთს პირდაპირ აკრავს შავშეთის მიდამოები. სამხრეთით კი ისტორიულ ერუშეთს მზღვრის მტკვარი, რომელიც გამოდის არტაანის ოლქის სამხრეთდასავლეთის ნაწილში. ძველათ, როცა საქართველო სამთავროებათ იყო დაყოფილი, ისტორიკოსი ვახუშტი იხსენიებს, რომ სამხრეთით ერუშეთს საზღვრავს ციხე არტაანისა და ქალაქი მცირე კოლა, რომელიც მდებარეობს მტკვრის სამხრეთით, მარა მეორე ადგილას ერუშეთის შესანიშნავ ტაძარზე, რომლის კედლები დღესაც დარჩენილია სოფ. ერუშეთში, აღნიშნავს, რომ „აქ არის ტაძარი დიდშენი, მშვენიერი, გუმბათიანი, ხოლო აწ უქმ არს. იჯდა ეპისკოპოსი ერუშეთისა და არტაანისა ვიდრე კოლამდე“ და სხვა. ცხადია, არტაანი, როგორც ციხე და ქალაქი განსაკუთრებულ პირობებში იყო, მარა ის შეადგენდა ერუშეთის ერთ ნაწილს, ისე როგორც ნაქალაქევი, რომელიც ერუშეთის უმთავრეს ცენტრს წარმოადგენდა და დღეს მისი მხოლოდ ნანგრევებია დარჩენილი. ამ ადგილს არტაანში დღეს ვერანა ნაქალაქევს უწოდებენ. ქ. კოლა და მისი სამთავრო კი, რომელიც ცნობილი იყო თვისი სილამაზით და შესანიშნავი ტაძრით, შეადგენდა მტკვრის გაღმა მხარეს, დღეს ამ ადგილზე დარჩენილია სოფელი გიოლა, ხოლო აქედან რუსეთის მთავრობას ამ რაიონისათვის უწოდებია Гельскій участокъ. არტაანის ეს ნაწილი სომხეთის ხელშია, ხოლო მტკვრის მთელი გამოღმა მხარე, ვიდრე არტანუჯის გადასასვლელამდე საქართველოს უპყრია.

საინტერესოა მკითხველისათვის იცოდეს რა ხდება ამ ადგილებში, რას ფიქრობს ადგილობრივი ქართველი მუსლიმანობა და როგორ ეწყობა საერთოდ ერუშეთში საქართველოს მართვა-გამგეობა.

შემცდარია ის აზრი, თითქო არტაანის ოლქი არ არის მჭიდროთ დაკავშირებული საქართველოსთან და მის გარეთ შეიძლება საქართველოს სახელმწიფოს ნორმალური განვითარება. ეკონომიურათ არტაანის ოლქი მუდამ მჭიდროთ იყო დაკავშირებული თფილისთან, ვიდრე ბათუმით სხვა მხარეებთან და ყარსით ერევანთან. აქ საქმე გვაქვს ბუნებრივ საზღვრებთან. არტაანის ეხლანდელ მთელ ოლქს მზღვრის სამხრეთით ყარსის მთები, რომელიც ზამთრობით თოვლით იხურება, ხოლო არდანუჯის გადასასვლელი სრულიად გაუვალი რჩება. რჩება გზები არტაანიდან ზურზუნით ახალქალაქ ახალციხეზე და შიდა ერუშეთიდან თათალეთით ნიალის ყურის მთების ფერდობებზე ახალციხის მაზრის ჭაჭველის ნაწილში. ამგვარათ მუდმივი მოძრაობის ძარღვი არტაანის ოლქში მჭიდროთ დაკავშირებულია ახალციხე ახალქალაქთან, რომლის გაწყვეტა მცხოვრებთ ზამთრობით მაინც კეტავს თოვლიან მთების რკალში. თვით შიდა საქართველო კი უარტაანოთ ვერ გასძლებს, ვინაიდან ისეთი მნიშვნელოვანი დარგი მეურნეობის, როგორიც არის საქართველოში საქონლის მოვლა მოშენება, გარეშე არტაანის მთებისა, დაჩიავდებოდა და ვერასოდეს წინ ვერ წაიწევდა. მთელი მწყემსები თუშეთისა, კახეთის, ხევისა და სხვა ადგილებისა მუდამ ბორჩალო ჯავახეთით არტაანისკენ მიეშურებიან ზაფხულობით, ვინაიდან საქართველოს მწყემსებისათვის საუკუნოების განმავლობაში არტაანი ერთადერთი უმთავრესი მთა იყო საძოვრათ. ამისთვისაც არის, რომ მთის ხალხი ოსმალთა შემოსევის დროს შეწუხებული იყო, მან არ იცოდა სად წაეყვანა ცხვარი საძოვრათ, რასაც კიდევ უფრო ართულებდა ჯავახეთის დაკარგვა, სადაც თრიალეთის მთები და აბულის მთის მიდამოები გაუწევდა არტაანის მაგიერობას.

ჩვენ არ ვეხებით აქ არტაანის სტრატეგიულ მნიშვნელობას, ვინაიდან ეს ცხადია ყველასათვის, ვისაც ერთხელ მაინც დაუთვალიერებია საქართველოს ეს ძველი ციხე წყალი.

დღეს ერუშეთი ადმინისტრატიულათ დაყოფილია ორ რაიონათ: ტყიან და ვაკე არტაანათ. ადმინისტრაცია ეწყობა სათანადოთ, ხოლო მცხოვრებთა დამოკიდებულება ჩვენდამი სრულიად დამაკმაყოფილებელია. მცხოვრებთა დიდმა ნაწილმა, რომელსაც შეადგენენ ქართველი მუსლიმანობა, ნაწილობრივათ თურქმენები და რამოდენიმე სოფელი ბერძნების, დაჟინებით მოითხოვენ საქართველოს მთავრობისაგან ერუშეთის დაკავებას, ვინაიდან აგვისტოში ინგლისელებმა დასტოვეს ეს მიდამოები და სომხეთის მთავრობა ლამობდა შიგ ჯარების შეყვანას. დღეს მტკვრის გასწვრივ ერუშეთში საქართველოს დროშები ფრიალებს. თვით ქალაქი არტაანის ძველი ნაწილიც მტკვრის გამოღმა ჩვენი ჯარის ხელშია, ხოლო ერთი გუნდი სდგას ახალ ნაწილში. აქ საჭიროა აღინიშნოს ჩვენი ჯარისკაცების და ოფიცრობის იდეალური წესრიგი, რამაც საბოლოოდ აღადგინა ომის დროს მომხდარ უწესოების შემდეგ საქართველოს ღირსება და პრესტიჟი.

სიხარულის ცრემლები აგივსებს თვალებს მნახველს, როცა ხედავთ საქართველოს ძველი ციხე სიმაგრეზე შენი ერის მოფრიალე დროშას და იქვე კი გაისმის მომხიბლავი ქართული სიმღერები კახელ ჯარისკაცებისა, რომელნიც ცეკვა-თამაშით ახალისებენ ბუმბერაზ ციხის ხავს მოდებულ კედლებს.

მე მოვედი არტაანში ნოემბრის პირველ რიცხვებში და გზაში ნანგრევთა მწუხარე სანახაობის შემდეგ პირველად ვიგრძენი აღფრთოვანება ჩვენს ჯარისკაცებში, რომელნიც ყველას უყვართ არტაანში და ხიბლავს მათი სიმღერა ხალისი. მე დავრჩი იქ მაშინ, როცა სომხეთის მთავრობის თავმჯდომარე ხატისოვი მოვიდა არტაანის სომხეთის ნაწილში და მას შეხვდა ჩვენი ჯარის საპატიო ნაწილი, რომლის წყობამ ალბათ ბევრს თვალი მოსჭრა აქ, ხოლო ქართლ-კახურმა სიმღერებმა კი თითქო შეათანხმეს ძველი ერუშეთის და საქართველოს ეხლანდელი ბედი.

მუსლიმანებს მეტად უყვართ ჩვენი ჯარისკაცები. დამეგობრებულან რვა თვის განმავლობაში და ბევრი, ბევრი მეგობრები და ნაცნობები ყავთ ერუშეთის სოფლებში. სამაგიეროთ თვით ჯარისკაცები თავის მოვალეობას ასრულებენ პირნათლათ და ღრმათ სწამთ, რომ ამით ისინი ემსახურებიან თავის მამულის თავისუფლებას

— ჩვენ არტაანს საქართველოს ვუნახავთო—მითხრა ერთმა ჯარისკაცმა და მართლაც ეს ჯარისკაცები მგონია რომ სულ ფიქრობენ საქართველოზე, მის მთლიანობაზე. სხვანაირათ არც შეიძლება იფიქრო ერუშეთში. უმეცნოთ დაწერილი ისტორია შენი ქვეყნის წარსულისა ყრია შენს გარშემო უსიტყვო ნანგრევ ლოდებათ და საიდუმლოთ, უსიტყვოთვე მოგითხრობენ წარსულის დიდებას და აწმყოს მწუხარებას. და აქ, ამ ნანგრევთა შორის, ძველი კულტურის ფერფლზე იბადება ახალ საქართველოს ახალი მებრძოლი სული, რომელიც ასე მტკიცეთ და გამბედავათ გამოისმოდა ჯარისკაცთა სიმღერაში.

ახალციხელი.

— —

**ივანდიდი.** ყველამ უწყის, თუ რამდენად ჩამორჩენილია კულტურულად ჩვენი სოფელი. სწორედ ამის ბრალია, რომ სოფლად დღეს გასავალი აქვს რეაქციონერთა მიერ გავრცელებულ პროვოკაციულ ხმებს ჩვენი მთავრობის წინაღმდეგ, ადგილი აქვს ანარქიულ გამოსვლებს და მათთან დაკავშირებულს ყაჩაღობას, უკულტურობა ხელს უშლის აგრეთვე სოფლის ეკონომიურ აღორძინებას და მეურნეობის აყვავებას. ვისთვისაც ძვირფასია ხალხის კეთილდღეობა და დემოკრატიული წყობილების განმტკიცება, ის დაუღალავად უნდა ემსახურებოდეს სოფლად სინათლის შეტანისა და ხალხის გათვითცნობიერების საქმეს. სწორედ ამ მოსაზრებით ხონის ერთის ნაწილის, სახელდობრ—ივანდიდის უბნის მოწინავე საზოგადოებამ განიზრახა აღადგინოს დროებით დახურული სამკითხველო, მოაწყოს ლექციები და წარმოდგენები. ყველა ამათ ესაჭიროება თავისი საკუთარი შენობა (აგება), რომლის აგება განსაკუთრებულათ ამ საქმისთვის არჩეულ სამზრუნველო კომისიის ვარაუდით დაჯდება არა უმეტეს ორმოცი ათასი მანეთისა. თუ მივიღებთ მხედველობაში ფულის დღევანდელ კურსს, ნავარაუდევი თანხა არც ისე დიდია. მივმართავთ ყველა ხონელებს, რომელნიც სცხოვრობენ სხვადასხვა ქალაქებში, გამოიღონ თავის წვლილი ამ სიმპატიურ საქმისთვის და ამით მოიხადონ მოქალაქობრივი და ზნეობრივი ვალი თავის ხალხის წინაშე. განსაკუთრებული თხოვნით მივმართავთ შემდეგ პატივცემულ პირთ: ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ჯაყელს, ანტონ თედორეს ძე გალდავაძეს, კოსტანტინე ანტონის ძე მაჭარაძეს, ილია ანტონის ძე მაჭარაძეს, ვიქტორ ანდროს ძე წოწონავას, ვლადიმერ ნესტორის ძე ქუთათელაძეს, მიხეილ ალექსანდრეს ძე ქუთათელაძეს, თეოფილე სიკოს ძე ქუთათელაძეს, პოლიკარპე ზურაბის ძე ქლენტს, ვლადიმერ ზურაბის ძე ქლენტს, პავლე ბაქრაძეს, გედეონ გიორგის ძე ქუთათელაძეს, იოსებ გიორგის ძე ქუთათელაძეს, სევერიან ჯანელიძეს, ეპიფანე ზაალის ძე ქუთათელაძეს, გრიგოლ პეტრეს ძე მაჭარაძეს, დათიკო კოსტას ძე ქუთათელაძეს, დიმიტრი კიმოთეს ძე ტაბიძეს.

შემოწირულება გამოიგზავნება შემდეგი მისამართით: ხონი. ქალაქის თავს ვარლამ მ. გარდავაძეს.

პატივისცემით სამზრუნველო კომისია.

P. S. ვსთხოვთ ეს წერილი სხვა გაზეთებმაც გადაბეჭდონ. ხ. ქ.

# წერ. რედაქციის მიმართ

**საჭირო განცხადება.** მე როგორც თფილისის უმთავრესს რკინის გზის სახელოსნოს ძველი მუშა, ვიყავ მიმდევარი ერთად ერთ ს. დ. მ. პარტიისა, მაგრამ როცა მოხდა ამ პარტიის ორად გაყოფა. მენშევიკური და ბალშევიკური ... მეუმრავლესეთ და მეუმცირესეთ, მაშინ ვერ ვიყავ გარკვეული ფრაქციულ კითხვებში და რადგანაც „მეუმრავლესენი“ მუშათა კლასს ერთბაშათ სამოთხეს პირდებოდნენ, მეც მათ მივეკედლე. მაგრამ დაკვირვებამ და „ბალშევიკების“ საქმიანობამ დამარწმუნა არა მათ ს. დემოკრატ—მარქსისტობაში, რომ ისინი არიან არა სოციალისტები, არამედ ანარქისტები და მუდამ ნგრევისა და არეულობის მოციქულნი, რასაც ჩემი მუშური გონება და გრძნობა ვერ შეიგებია; რისთვისაც ვალდებულად ვსთვლი ჩემს თავს განვაცხადო: ყოფილ ბალშევიკებისა და ახალ „კომუნისტების“ საყურადღებოთ, რომ მე დღეიდან უარყოფით ვუცქერი მათ ქვეყნის დამღუპველს საქმეებს და ვრჩები ისევ ს. დემოკრატათ და ჩავირიცხები საქ. ს. დ. მ. პარტიაში.

დიმიტრი გლახუაძე შენგელია.

# ცნობები

ღია წერილი გიგო ბადრიძეს!

პატივცემულო გიგო! ოზურგეთის მაზრის სოფელ ზემო შუხუთის მცხოვრებმა ვლადიმერ ასკურავამ გადმოგვცა ივანე (ზედმეტ სახელათ ყარამან) ჩხაიძის სურათი და ცნობა (სიტყვიერი), რომ თითქოს ის გერმანიაში გარდაცვლილიყოს „ისპანკის“ ავადმყოფობით. ეს სურათი და ცნობა გადაგეცით თქვენ. ჩვენ, დამწუხრებულმა მშობლებმა, დაწვრილებით ამ საქმის შესახებ არაფერი ვიცით, დანამდვილებით არც ის ვიცით, მართლა გარდაცვლილია თუ არა; ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ ყოველი ცნობა ამ საქმის შესახებ გვაცნობოთ შემდეგი მისამართით: სადგური ლანჩხუთი, სოფ. აცანა, გიგო სოფრომისძე ჩხაიძეს. გთხოვთ თქვენი მისამართიც გვაცნობოთ პატივისცემით გიგო ჩხაიძე.

# განცხადებანი

## სამკურნალო

(კავკ. წით. ჯვ. საოლქო სამმართველო) ჩერქეზ. ქ. № 77, იაკუბოვიჩის აფთ. გვერ. ავადმყოფ. მიღება ექიმ სპეციალისტების მიერ ყოველ დღე 9—2 საათამდე.

გ. ხანაძე 9—12 შინ. ვენერ. სიფილ.
ფ. ფეხნერი 10—11, საბავშ. შინაგ. სნ.
ი. ტეროვაკიმოვი 12—1. ვენერ. სიფილ.
ი. ბოკერია 10—11. ხირურგ. ქალთა სნეულ. და საბებიო
ი. ტერგრიგორიანცი 1—2. შინაგ. საბავ.
ტ. განჟუმოვი 11—12. ქალთა საბებ. „606“ და „914“ ყოველ დღე.
რჩევა 10 მ. ოპერაციები მორიგებით. სამკურნალოს დირექტორი გ. გ. ხანაძე.
((2937—თ.)

## იყიდება

შემთხვევით მიწა 80 კვ. საჟ. ვაკეზე, სემინარიის ახლოს. საჭირო ცნობებისათვის მიმართეთ: არამიანცის ტუპიკში, № 10. (3133—6—4)

ექიმი კ. ტუშმალიშვილი ღებულობს ავადმყოფებს ვენერიულ, სიფილ. (914 და 606) კანი, მიხაილოვის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე ფოსტის ახლოს. საღამოს 5—7 საათამდე. (2925)

ექიმი შ. [illegible] იღებს შინაგან, საბებიო [illegible] სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 1—2 [illegible] თის და [illegible] რონცოვის ძეგლის ახლოს. (თ.—3023)

ექიმი დ. ნ. [illegible] იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ დილით 8—9 ს-დის და საღამოთი 4—6 ს-დის. მიხეილის პროსპ. № 64. (საავათმყოფოს ახლოს) ტელეფ. 14—60. (თ.—2662.)

## ოზურგეთში

ექიმი ს. გ. აბაშიძე მიიღებს ავადმყოფებს შინაგან სენით: ფილტვების, გულის, კუჭის და წელების. ჭლექის ექიმობა „ტუბერკულინით“ და „ფოსფაციდით“, ვენერიული: სიფილისი და მისი შედეგები—„914“ და „606“ შეშხაპუნებით, კ. სიმაიშვილის სახლში. (კუპ. 582)

ქალ. სამტრედიაში

ექიმი ი. ი. მეიშვილი იღებს განსაკუთრებით სიფილისით (წამლ. „606“ და „914“) ვენერიულ (ტრიპერი და მათი შედეგები) და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ. მისამართი: ილიას ქუჩა, ტელეფონი 35. (2950—თ.)

ექიმი მ. ა. [illegible] სიფილისი და მისი შედეგები. (შეშხაპუნება „606“ და „914“. ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფები მიიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. [illegible] დილით. მისამართი: [illegible] ქუჩა № 33

ექიმი დ. ა. სახოკიძე. იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. [illegible] აუდიტორიის ახლო.

ექიმი ქალი ს. ბ. [illegible] მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან ქალის და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას. [illegible] წამლობა (606—914) დილის 10—12 ს. და საღამოს 5-6 ს. პლეხანოვის პრ. № 119, ტელეფონი № 9—26

ექიმი ქალი ე. ს. ზებურიშვილი. ღებულობს ავადმყოფებს შინაგან, ქალთა და ბებიობის ნაწილებში დილით 10—12 საათამდე საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: იზმაილოვის ქუჩა № 28. (თ. 3065).

ექიმი ა. [illegible] შინაგანი ავათმყოფობანი. ყოველმხრივი გამოკვლევა და ფიზიკური—მეთოდებით აქიმობს გულის, ფილტვების, კუჭის და [illegible] ავათმყოფობათა. რენტგენის სხივები. კრილოვის ქ. სახლი № 5 გონიელოვისა, ბინა № 3. მიღება დილის 11—12 საათ. და საღამოს 4—8 საათამდე. (თ. 2642)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

(ვაგზლის ქ. შიხინოვის აფთიაქის გვერდით, ტელ. 6—95)

ექ. არგუთინსკი შინაგ. და საბავ. ყოველ დღე 10—11 ნახ.
ექ. გართანოვი—ვენერ. და კანის სნ. ყოველდღე 1—2.
ექ. ბოკერია ქირურგ. ქალთა სნეულ. და საბებიო ყოველ დღე 10—11.
ექ. ქალი იოხელიანი ქალთა სნეულ. საბავ. ხუთშ. და შაბ. 11—12.
ექ. კლდიაშვილი შინაგ. და საბავ. ყოველ დღე 1—3.
ექ. ტუშურიანცი შინაგანი სნ. ყოველ დღე 11 ნახ—1.
რჩევა 10 მ., კონსულტაცია 50 მან ოპერაცია შეთანხმებით. „606“ და „914“.
(2930—თ.)

ექიმი ბ. ი. მირიანაშვილი. შინაგანი სნეულებანი. მიღება საღამოს 5—7 საათამდე, მისამართი ანდრიევის ქუჩა № 74, ბინა № 1 ვაგზლის აფთიაქის ახლო. (2849—თ.)

ექიმი ნიკოლოზ [illegible] იღებს განსაკუთრებით შინაგან სნეულებით ავადმყოფს ყოველ დღე საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11 (ზემელის აფთიაქის ახლოს). (2795—თ.)

ექიმი ბ. დ. [illegible] სიფილისი და ვენერიული სნეულებანი. შეშხაპუნება „606“ და „914“. მიღება დილით 9—11, საღამოთი 4—6 ს. მიხეილის პროს. სასტუმრო „ნოე“ [illegible] № 116. ტელ. 14—28.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების

## მთავარ სამმართველო

ამით აცხადებს, რომ სურამის ფსიქიატრიულ ახალშენში შეიძლება მიღებულ იქნას დაჭერსებულ ფასით ხუთი ავათმყოფი (მამაკაცი). დაწვრილებით პირობების გაგება შეიძლება წითელი ჯვრის კანცელარიაში (26 მაისის ქუჩა საბებიო ინსტიტუტის შენობაში) და ქ. სურამში ფსიქიატრიულ ახალშენის უფროს ექიმთან. (2901—14—14)